ყოველდღიური გაზეთი

ახალი თაობა

Akhali Taoba

akhalitaoba.ge

სამშაბათი, 20 ივნისი, 2023 №119 (9155) ფასი: 80 თეთრი

უზენაესმა სასამართლომ ნიკა გვარამია პატიმრობაში დატოვა

გვ.5

„მიშა რისკავს! მისი პოლიტიკაში შემობრუნება შეცდომაა!“

სოსო ცინცაძე: „თუ აქამდე ცხრაკლიტულში იყო, ახლა ოცკლიტულში გადაიყვანენ“

გვ.3

„შაქარიშვილის იქნება თუ ვასაძის მოძალადე ჯგუფი, ყველას ბიძინა აკონტროლებს“

გვ.2

დავით ზურაბიშვილი: „არავითარი სტუდენტური დაპირისპირება არ არის. ნაციონალური მოძრაობის დროსაც სტუდენტური თვითმმართველობები, ეს იყო პარტიის ზონდერ ჯგუფები. ამჯერად, როგორც ჩანს, კობახიძეს მიჰყავს ხალხი“

გვ.4

„ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქი არ არის... ჩვენ ეს კანონი არ გვჭირდება“

ირაკლი კობახიძე: „ჩვენ დავაკოპირეთ უკრაინული კანონი და აღმოჩნდა, რომ თურმე ოლიგარქები საქართველოში ყოფილან კეზერაშვილი, ხაზარაძე, „ჭუტა“ და არა ბიძინა ივანიშვილი“

1-ელი ივლისიდან სოციალურად დაუცველი ბავშვების ყოველთვიური დახმარება 200 ლარამდე იზრდება

ღვიძლის გადანერგვის ოპერაციას სახელმწიფო სრულად დააფინანსებს

გვ.4

„წურწურით სისხლი ჩამოგდით ხელებიდან...“ — ვოლსკი „მთავარის“ ჟურნალისტს

გვ.2

გვ.5

სუროგატი დედებისგან დამკვეთებს მათივე ბიოლოგიური შვილები მიჰყავდათ

გვ.5

კლინიკას, სადაც პაციენტებს განკურნებას სთავაზობდნენ და ორგანიზმში კოქტეილები შეპყავდათ, პაციენტები უჩივიან

2 საქართველოში სილარიბის დონე რეკორდულად გაიზარდა — პანკეს კვლევა

3 პედოფილიის მსხვერპლი 46 მოზარდი გახდა — პირველი კვარტალის სტატისტიკა

7 ხვიჩა კვარაცხელია: „შოტლანდიაში მოსაგებად ჩამოვედით“

6 უკრაინული კონტრშეტევების პერსპექტივები

1993230720223

„შაქარიშვილის იქნება თუ ვასაძის მოძალადე ჯგუფი, ყველას ბიძინა აკონტროლებს“

დავით ზურაბიშვილი: „არავითარი სტუდენტური დაპირისპირება არ არის. ნაციონალური მოძრაობის დროსაც სტუდენტური თვითმმართველობები, ეს იყო პარტიის ზონდერ ჯგუფები. ამჯერად, როგორც ჩანს, კობახიძეს მიჰყავს ხალხი“

ნონა ცაბაძე

„ახალი თაობის“ კითხვებს
დავით ზურაბიშვილი პასუხობს.



„ლელოს“ არავითარი შანსი არა აქვს, მარტო გადალახოს ბარიერი. ეს არის გამორიცხული! ვერ აიღებს 5%-ს. არ ვიცი, ეს რატომ არის რთული მისახვედრი?“

– ბატონო დავით, ბოლო პერიოდში განვითარებულ პროცესებთან დაკავშირებით ვისმენთ შეფასებებს, რომ ეს ყველაფერი ხელისუფლებისგან მართული პროცესია. რატომ გააქტიურა „ოცნებამ“ აგრესიული ჯგუფები და რამდენად არის სამოქალაქო დაპირისპირების საფრთხე?

– სამოქალაქო დაპირისპირებაში, დარწმუნებული ვარ, არ გადაიზრდება. ეს მოძალადე ჯგუფები, რომლებიც გამოდიან და ვითომ რაღაცას აპროტესტებენ, რეალურად, ლამის ბოლო ათი წელია, ეს ერთი და იგივე ხალხია. ეს არის მთლიანად ხელისუფლების ხალხი, კონკრეტულად, სუს-ის მიერ ორგანიზებული ჯგუფები.

2012 წლიდან მოყოლებული, მას შემდეგ, რაც ხელისუფლება შეიცვალა, სხვადასხვა პერიოდულობით ხდება მათი გააქტიურება. გამოყრიან გარეთ, მიუსევენ გარკვეულ ჯგუფებს, მერე ჩააწყნარებენ. დასჭირდებათ, კიდევ გამოყრიან და ასე გრძელდება აგერ 10 წელია.

– ეკლესიის და პატრიარქის სახელს ეფარებიან. ანუ იმის გამბედაობაც არ ყოფნით, რომ საკუთარ თავზე აიღონ, რასაც აკეთებენ?

– რა პატრიარქი და რა ეკლესია, ეს ყველაფერი საბაბია რეალურად. როდესაც მე ხელისუფლებაში გახლდით, რესპუბლიკურ პარტიასთან ერთად, დამემოწმება პრაქტიკულად ყველა ჩემი თანაპარტიელი, რომ მაშინაც ძალიან ვაპროტესტებდი ამას. სულ ვამბობდი, რომ ყოვლად დაუშვებელია ასეთი ჩხუბები იყოს ხელისუფლებისგან წახალისებული და მართული. ეს არის კატეგორიულად მიუღებელი! ეს არის ყველაზე ამორალური რამ, რასაც კი შეიძლება ხელისუფლება აკეთებდეს. ამაზე უფრო ცუდ რამეს ვერ გააკეთებენ.

– რისთვისაც წინა ხელისუფლებას ვაკრიტიკებდით, ერთი ერთში გადმოიტანა ამ ხელისუფლებამ.

– წინა ხელისუფლება ცოტა სხვანაირად მოქმედებდა. წინა ხელისუფლება არ ახდენდა ხალხის რისხვის იმიტაციებს. ისინი პირდაპირ მოდიოდნენ, მოდიოდა პოლიცია, უშიშროება, იარაღს გიშვერდა, ის გცემდა და ის გაგინებდა. ანუ ისინი უშუალოდ ახორციელებდნენ რეპრესიებს. აქ კი ვითომ ხელისუფლება არაფერ შუაშია. ისინი ქვეყნის ინტერესს იყენებდნენ ფარად, ვითომ რუსეთის აგენტებს ებრძოდნენ, მაშინ პირდაპირ პოლიცია და უშიშროება მოქმედებდა. ისინი ახდენდნენ ძალადობას. ამათ გამოჰყავთ ვიღაც ტიპები, რომლებსაც ეუბნებიან, თქვენ ხართ ბატონი ბიძინას საიდუმლო ლაშქარი, რომელიც ახლა უნდა ადგეს და იმპერიალისტური შეთქმულება ამხილოს. ამას ახლა ჩვენ ვერ გავაკეთებთ, ამიტომ თქვენ უნდა შეასრულოთ ეს დიდი მისია. ამაში ზოგს ფულს აძლევენ, ზოგს ნარკოტიკს და ზოგს რაღაცას პირდებიან. ეს ხალხი მერე მიდის, ვიღაცას ურტყამს, ვიღაცას აგინებს და ვართ ასეთ სიტუაციაში.

– რატომ ამოიღეს მიზანში ზურა ჯაფარიძე?

– აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ, რომ ეს ყველაფერი ხდება პირადად ბიძინა ივანიშვილის სიგნალის მერე. ანუ, როდესაც ის გასცემს ბრძანებას, რომ ასეთი ჯგუფები უნდა გააქტიურდეს. ვითომ ხალხი გამოხატავს პროტესტს. არ ვიცი, ვინმე თუ ტყუვდება ამით. ვის ატყუებენ, რომ ვითომ აღშფოთებული გორელი მოქალაქის პროტესტი იყო ეს?!

– ივანიშვილი არავის პატიობს პირად შეურაცხყოფას?

– კი, ეგ მომენტიც არის. ამ ადამიანს სჩვევია ასეთი რაღაცები. ნიკა გვარამია სწორედ მაგის გამოა ციხეში. მხოლოდ იმიტომ, რომ პირადად ბიძინას აგინებდა. ასეთ რაღაცებზე მათ გართულებები აქვთ. მეორე და ასევე სერიოზული პრობლემაა, რომ ბიძინას და მის გარემოცვასაც საკმაოდ ბუნდოვანი წარმოდგენა აქვთ მსოფლიოში მიმდინარე პროცესებზე. აზრზე არ არიან ან არასამთავრობო სექტორი რას ნიშნავს, სამოქალაქო აქტივიზმი რას ნიშნავს, ეს არ ესმით. მათთვის ეს არის ჩინური ენის გრამატიკა. რომც მოვინდომოთ, ვერ გავაგებინებთ, რადგან აბსოლუტურად სხვა მენტალიტეტის და ყაიდის ხალხია. კი არ იგონებენ, მათ მართლა ასე ჰგონიათ, რომ ფრანკლინის კლუბი, რომელიც არის სტუდენტური კლუბი, სადაც მიდის ხალხი, ლექციებს კითხულობს, მსჯელობა მიდის სხვადასხვა თემებზე, ის ჰგონიათ რაღაცა შეთქმულების ბუდე. სიგიჟეა ეს, მაგრამ ჩვენ ამას ვერაფერს ვუზამთ, სანამ ეს ხელისუფლებაა. როდის რა მოუვლით თავში, როდის გააქტიურდებიან და როდის ჩაცხრებიან, ამ ყველაფერს წყვეტს ერთი ადამიანი. ის ერთი ადამიანი თავისთვის რა შეთქმულების თეორიებს ავითარებს, ეს ძალიან რთული გამოსაცნობია.

– სტუდენტების გახლეჩვასა და დაპირისპირებას რამდენად შეძლებენ?

– აქაც იგივე სიტუაციაა. არავითარი სტუდენტური დაპირისპირება რეალურად არ არის. იგივე ნაციონალური მოძრაობის დროსაც სტუდენტური თვითმმართველობები, ეს იყო ნაციონალური მოძრაობის ზონდერ ჯგუფები. ახლაც იგივეა. ამჯერად, როგორც ჩანს, კობახიძეს მიჰყავს ხალხი. ამ ხალხს პერიოდულად ააქტიურებენ, გააჩნია, საქმეს როგორ სჭირდება.

– ბატონო დავით, ეს არის წინასაარჩევნოდ ძალის დემონსტრირება, თუ ეს არის მიზანმიმართული საბოტაჟი კანდიდატის სტატუსის წინააღმდეგ?

– არა, მიზანმიმართული საბოტაჟი არ არის, ეს არის უფრო გარისკვა. ბიძინა ივანიშვილმაც დაინახა და ხელისუფლებაშიც ხვდებიან და ოპოზიციაზე კარგად დაინახეს, რომ ძალიან უნდათ ჩვენთვის კანდიდატის სტატუსის მოცემა ევროპაში. ანუ დღეს ჩვენ ევროპას ძალიან ვჭირდებით ჩვენი სატრანზიტო და გეოპოლიტიკური ფუნქციის გამო. რამდენადაც ჩვენ ევროპას ძალიან ვჭირდებით, ხელისუფლება გადავიდა ვაბანკზე. შანტაჟზე მიდის პრაქტიკულად და დასავლეთს ეუბნება, რომ აი, მე ასეთი ვარ, ან ასეთად მაღიარე და მიმიღე, თუ არ მიმიღებ და აგერ მყავს რუსეთი. აი ზუსტად ეს ტაქტიკა აქვთ. უბრალოდ, ფეხებზე იკიდებენ ევროპას. ხელისუფლებაში მიაჩნიათ, რომ ამ სიტუაციაში თუ მიიღეს კანდიდატის სტატუსი, ეს რაღაცნაირად იქნება მათი ქმედებების გამართლება. ჩათვლიან, რომ ევროპამ ამაზე თვალი დაუხუჭა.

– და ფიქრობენ, ევროპას არც შემდეგში ექნება პრეტენზია, რომ ასეთები არიან?

– დიახ. ამ დროს კი, სინამდვილეში, პრეტენზია ექნებათ ათჯერ მეტი. ჩვენდა საბედნიეროდ, ეს ამ ხელისუფლებას არ ესმის. უვიცები და უმეცრები არიან და იმიტომ არ ესმით. იმდენად არ ესმით, რომ მე თქვენ ხომ გეუბნებით, თქვენ ამას დაწერთ, წაიკითხავენ და მაინც ვერ მიხვდებიან, რომ ეს ასე იქნება. ვარიანტი არ არის, რამეს მიხვდნენ. ამათი უმეცრება არის უსაზღვრო. ყველაფერი მიდის ბიძინა ივანიშვილამდე და იმან თუ არ დაიჯერა, დანარჩენს გინდა დაუჯერებია და გინდა არა. ამას არანაირი მნიშვნელობა არა აქვს.

– რატომ?

– არ არსებობს დღეს ბიძინას გარემოცვაში ადამიანი, რომელიც რამე ისეთს ეტყვის ბიძინას, რის გაგონებაც მას არ ესიამოვნება. გამორიცხულია ეს!

– ანუ რა პროცესებიც ვითარდება დღეს ქვეყანაში, რა გადაწყვეტილებებსაც იღებენ, ყველაფერი ბიძინა ივანიშვილის ბეჭედდასმულია?

– აბსოლუტურად ასეა. შეუძლებელია სხვაგვარად იყოს, ეს ხელისუფლება სხვანაირად არ მუშაობს. ის შეიძლება არ ერევა ასე კონკრეტულად მართვაში, მაგრამ ამ მოძალადე ჯგუფების ხელმძღვანელად ხან შაქარიშვილი გამოდის, ხან ლევან ვასაძე და ხან სანდრო

გაგრძელება მე-4 გვერდზე

მიხეილ სააკაშვილი: „კატეგორიულად ვგმობ ზურა ჯაფარიძეზე გახშირებულ ძალადობრივ თავდასხმებს“

საქართველოს მესამე პრეზიდენტი, მიხეილ სააკაშვილი „გირჩი – მეტი თავისუფლებას“ ლიდერზე, ზურაბ ჯაფარიძეზე განხორციელებულ ძალადობას გმობს.

როგორც სააკაშვილი სოციალურ ქსელ „ფეისბუქზე“ გავრცელებულ „პოსტში“ წერს, ჯაფარიძე „ყელში ეჩხირება რუსულ ხელისუფლებას“.

– კატეგორიულად ვგმობ ზურა ჯაფარიძეზე გახშირებულ ძალადობრივ თავდასხმებს.

ზურა ყელში ეჩხირება რუსულ ხელისუფლებას, ვინაიდან, მას აღმოაჩნდა ახალგაზრდობის მობილიზაციის განსაკუთრებული ნიჭი.

ზურაზე შეტევა არის სტუდენტობაზე საერთო შეტევის ნაწილი.

საზოგადოებამ უნდა ისწავლოს არა მხოლოდ პროტესტის გამოთქმა, არამედ სწრაფი მობილიზაცია და თავისი უფლებების დაცვა.

თავს ესხმიან ზურას? – ყველა უნდა დავუდგეთ გვერდში.

სცემენ ჩვენს შვილებს? – მამებმა უნდა შევუბრუნოთ ხელი.

ჩვენ ბევრად მეტი და ბევრად უფრო ძლიერები ვართ!“, – წერს სააკაშვილი.

შეგახსენებთ, „გირჩი – მეტი თავისუფლებას“ ლიდერს, ზურაბ ჯაფარიძეს გორის მუნიციპალიტეტში 17 ივნისს თავს დაესხნენ. გამოძიების ინფორმაციით, გორის მუნიციპალიტეტში, თბილისი-სენაკი-ლესელიძის საავტომობილო გზაზე მდებარე სუპერმარკეტის ავტოსადგომზე მოქალაქემ საჯარო სივრცეში გამოთქმული განცხადებების და განხორციელებული ქმედებების გამო, პარტია „გირჩი – მეტი თავისუფლებას“ დამფუძნებლის მიმართ ძალადობა განახორციელა. თავდამსხმელი დაკავებულია. მას ბრალდება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 126-ე მუხლის 1-ელი ნაწილით წარედგინა (ძალადობა, რამაც დაზარალებულის ფიზიკური ტკივილი გამოიწვია), რაც სასჯელის სახედ და ზომად ერთ წლამდე თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

„წურწურით სისხლი ჩამოგდით ხელებიდან...“ — ვოლსკი „მთავარის“ ჟურნალისტს

„ქართული ოცნების“ დეპუტატი გია ვოლსკი „მთავარი არხის“ კითხვამ გააღიზიანა და ჟურნალისტს უთხრა, რომ ტელეკომპანიაში დასაქმებულებს ხელებიდან სისხლი ჩამოსდით.

ჟურნალისტებმა ვოლსკის „მთავარი არხის“ მიერ მოპოვებული მიმოწერის შეფასება სთხოვეს, რომელშიც ჩანს, როგორ იყენებს მმართველი პარტია საჯარო მოხელეებს ტროლ-ბოტებად. ვოლსკიმ ბრალდებები უარყო და თქვა, რომ „ქართული ოცნება“ ცუდ საქმეს არასდროს აკეთებს.

– შექმენით ტროლ-ბოტი და შეუტიეთ მთავარ არხს! რატომ ხარჯავთ რესურსს ასეთ ცუდ საქმეში. ჯერ უნდა გითხრათ, რომ ცუდ საქმეს არასდროს ვაკეთებთ და მეორეც, რესურსს რატომ ხარჯავთ, კითხვის ასე შემოვლა ვინ გასწავლათ ან რომელ ფაკულტეტზე ისწავლეთ. რა ტროლ-ბოტი გჭირდებათ, ასე წურწურით სისხლი ჩამოგდით ხელებიდან. რა ტროლ-ბოტებზე მესაუბრებით, ტროლ-ბოტები ხართ მთლიანად თქვენ, – თქვა ვოლსკიმ.

საქართველოში სიღარიბის დონე რეკორდულად გაიზარდა — ჰანკეს კვლევა

ოფიციალური კვლევებით ქვეყანაში სიღარიბის დონე რეკორდულად არის გაზრდილი. ჰანკეს ყოველწლიურ ინდექსში, რომელიც ქვეყნებში ეკონომიკურ მდგომარეობას აფასებს, საქართველო გასული წლის მონაცემებით, 157 ქვეყნიდან 36-ე ადგილს იკავებს. კონგო, ეთიოპია, გაბონი, ლაოსი, პაკისტანი – ეს იმ ქვეყნების ჩამონათვალია, რომლის გვერდითაც საქართველოც საპატიო ადგილს იკავებს.

ჰანკეს კვლევის ჯგუფი სიღატაკის ინდექსს მთელს მსოფლიოში იკვლევს, ადგენს მიზეზებს და ქვეყნებს შესაბამის ქულას ანიჭებს. ეკონომიკური ექსპერტები ამბობენ, საქართველოს უკიდურეს სიღატაკეში მყოფი ქვეყნების გვერდით დაყენება მაღალი ინფლაციის, არასწორი მონეტარული და საგადასახადო პოლიტიკის შედეგია.

ISSN 1987-9385
ახალი თაობა
გამოდის 1993 წლის 23 ივლისიდან
მთავარი რედაქტორი – სოსო გოგინაშვილი
რედაქტორი – ლალი ასლანიშვილი
საფინანსო სამსახური – კლარა ბალავაძე
სარგავლამო სამსახური – 599-532-690
დირექტორი – ზურაბ ბერიძე
გავრცელების სამსახური – მერაბ ლეკერაშვილი
ვებგვერდი: akhalitaoba.ge
ელ.ფოსტა: axtaoba@gmail.com
ტელეფონი: 599-532-690
რედაქციაში შემოსული მასალები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდება. რედაქციის თანხმობის გარეშე გაზეთში დაბეჭდილი მასალების, სურათების და სარეკლამო განცხადებების სრული ან ნაწილობრივი გამოყენება აკრძალულია. სტატიაში გამოქვეყნებული მასალების სიზუსტეზე პასუხს აგებს ავტორი. საავტორო უფლებები დაცულია.

„მიშა რისკავს! მისი პოლიტიკაში შემობრუნება შეცდომაა“

სოსო ცინცაძე: „თუ აქამდე ცხრაკლიტულში იყო, ახლა ოცკლიტულში გადაიყვანენ“

ნათია ხურცილავა

პოლიტოლოგი, პროფესორი სოსო ცინცაძე „ახალ თაობასთან“ ინტერვიუში ქვეყანაში მიმდინარე პოლიტიკურ პროცესებზე საუბრობს.

— ბატონო სოსო, რა ფორმით შეიძლება მიხეილ სააკაშვილი პოლიტიკაში დაბრუნდეს?

— ან ეს არის სუპერ საიდუმლო გეგმა, ან უბრალოდ სურვილი, რომელიც რეალობით არ არის გამყარებული. ისეთი უნიკალური ინფორმაციის მატარებელი ადამიანი, როგორიც სააკაშვილის ბიძა თემურ ალასანია არის, კატეგორიული წინააღმდეგია სააკაშვილის პოლიტიკაში დაბრუნების. ამიტომ, უმჯობესია, ბიძას დაუჯეროს და ისე იმოქმედოს, როგორც მისი ოჯახის წევრები ურჩევენ. არა მგონია, ოჯახზე უკეთესი გულშემატკივარი იყოს ვინმე, თუნდაც პარტიის ლიდერები ან რიგითი წევრები.

მე შეცდომად მიმაჩნია სააკაშვილის განცხადებაც კი პოლიტიკაში დაბრუნებასთან დაკავშირებით. არ ვთვლი, რომ ამ განცხადებამ რაიმე სახის ეფექტი მოუტანოს მას. არათუ განთავისუფლების კუთხით, საერთოდ, თუ აქამდე ცხრაკლიტულში იყო, ახლა ოცკლიტულში გადაიყვანენ.

— პარტიის გაძლიერების კუთხითაც არ იქნება ეფექტური?

— ოდნავი ეფექტი ექნება. მისი ერთგული ამომრჩევლის კონსოლიდირებას ნამდვილად გამოიწვევს, მაგრამ ეს ვერ იქნება ის, რაც იყო ოდესღაც, როდესაც სააკაშვილი თავის სიმაღლეზე იდგა. უფრო მეტი უარყოფითი შედეგი ექნება, ვიდრე დადებითი. ეს უნდა დაინახოს, მაგრამ, როგორც ჩანს, ისევ ვერ ფლობს ზუსტ ინფორმაციას. მნახველებიც, როგორც ჩანს, შეზღუდული რაოდენობით შედიან.

უკვე „ოცნებამ“ დაიწყო საუბარი — ახლა არ კვდება?! ახლა არ უნდა საზღვარგარეთ გადაყვანა?! არჩევნების მოახლოებისას ეს კამპანია გაასმაგდება. ახლა იქნება თუ იქნება — მიშა მოდის! პირდაპირ იტყვიან, ხელისუფლების დასამხობად მოდის, რომ თუ ადრე „ვარდების რევოლუცია“ მოაწყო, ახლა „ჭინჭრებისას“ მოაწყობს. სააკაშვილს ეს უნდა გაეთვალა და ამ გადმოსახედიდან უნდა გაეკეთებინა განცხადება.

ვთვლი, რომ ამ განცხადებით მორიგ რისკზე წავიდა. ეს არ არის გათვლილი განცხადება. თუმცა, მე სრულიად მესმის მისი, რადგან ის სულით ხორცამდე პოლიტიკოსია. ის პოლიტიკური ცხოველია და სწორედ ამ ინსტინქტებით მოქმედებს. სხვათა შორის, ზუსტად ასეთი იყო შევარდნაძე.

— როგორ ფიქრობთ, რატომ მიიღო ეს გადაწყვეტილება თუ აქამდე ამბობდა, რომ ქართული პოლიტიკა არ აინტერესებდა?

— რთული სათქმელია, რადგან ბევრი ფაქტორი არსებობს. შეიძლება თვლის, რომ პირველი რისკის დროს გაუმართლა, „ვარდების რევოლუციას“ ვგულისხმობ, მაგრამ მეორე რისკის დროს, უკრაინიდან დაბრუნებაზე ვამბობ, დამარცხდა. ახლა რატომ თვლის, რომ გაიმარჯვებს, ამაზე ფიქრიც კი მიჭირს.



გაიმარჯვებს მხოლოდ ორ შემთხვევაში: პირველი, თუ უკრაინა ასი პროცენტით მოიგებს ომს და მეორე, თუ პუტინი რუსეთის ხელისუფლებიდან წავა. თუ ეს ორი ამბავი ნამდვილად მოხდება, მაშინ სააკაშვილს ხელისუფლებაში დაბრუნების შანსი აქვს.

— „ქართული ოცნება“ ამას აცნობიერებს?

— რა თქმა უნდა! ეს იცის დღევანდელმა ხელისუფლებამ. „ქართული ოცნება“ არ წავა არჩევნების გზით. ის შეეცდება ძალაუფლების შენარჩუნებას. „ოცნებამ“ იცის, რა ელის დამარცხების, ხელისუფლების შეცვლის შემთხვევაში.

— რამდენად სწორად იქცევა, რამდენად ადეკვატურია?

— „ოცნება“ შეცდომას შეცდომაზე უშვებს, ერთი სიტყვით, რეკორდებს ხსნის. სტუდენტების გადამტერება, ერთმანეთთან დაპირისპირება, აგრესიული ჯგუფების გამოყვანა და მათი დაგეშვა. აქედან სამოქალაქო დაპირისპირებამდე ერთი ნაბიჯიღაა. ასე იწყებოდა

„ოცნება“ შეცდომას შეცდომაზე უშვებს, ერთი სიტყვით, რეკორდებს ხსნის. სტუდენტების გადამტერება, ერთმანეთთან დაპირისპირება, აგრესიული ჯგუფების გამოყვანა და მათი დაგეშვა. აქედან სამოქალაქო დაპირისპირებამდე ერთი ნაბიჯიღაა“

90-იანებში სამოქალაქო ომი, სხვა კი არაფერი უძღოდა წინ.

ხელისუფლებამ ყველაფერი დაივიწყა, რაც წინა ხელისუფლების დროს, 2012 წლამდე იყო. მხოლოდ შეცდომები ახსოვთ, რომელიც სისხლის სამართლის დანაშაულებად აქციეს.

არა მგონია, სააკაშვილის განცხადებამ, რომ პოლიტიკაში ბრუნდება, სტრატეგიულად მისი ციხიდან განთავისუფლების მიმართულებით დადებითი როლი ითამაშოს. უფრო პირიქით იქნება. არც იმას გამოვრიცხავ, რომ ნაციონალურ მოძრაობაში ბევრს არ უნდოდეს მისი პოლიტიკაში დაბრუნება. მიშა ასე გამოკეტილი და უმოქმედო, ალბათ, უფრო აწყობთ.

— ვის?

— ბევრს. სააკაშვილის ამ განცხადებას „ოცნება“ უფრო გამოიყენებს მის წინააღმდეგ, ვიდრე სააკაშვილს მოუტანს ეს რაიმე შედეგს.

კახა კალაძე: „სააკაშვილი ქართული პოლიტიკიდან დაშორებული არასდროს ყოფილა“

როგორც თბილისის მერმა, კახა კალაძემ მედიასთან შესაბამისი კითხვის საპასუხოდ განაცხადა, მიხეილ სააკაშვილი ქართული პოლიტიკიდან არსად წასულა, ხოლო ლევან ხაბეიშვილი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ საზოგადოების თვალის ასახვევად დანიშნეს.

— სააკაშვილი ქართული პოლიტიკიდან არასდროს ყოფილა დაშორებული. ლევან ხაბეიშვილი ნაციონალური მოძრაობის თავმჯდომარედ თვალის ასახვევად დანიშნეს. ყველა კარგად ხვდება, ვინ არის პარტიის შემქმნელი თუ რიგითი წევრი. სააკაშვილი ყოველთვის მონაწილეობდა პოლიტიკურ პროცესში, მიუხედავად იმისა, რომ ის საქართველოს მოქალაქე არ არის. მან ამაზე თავად თქვა უარი. ეს ცალკე განხილვის საგანია. ყოფილი პრეზიდენტი ასეთ ნაბიჯს რომ დგამს, ამაზე დიდი სირცხვილი რა უნდა იყოს, — განაცხადა კახა კალაძემ.

მისი თქმით, სააკაშვილს ჯანმრთელობასთან დაკავშირებით არანაირი პრობლემა არ ჰქონია და ამ თემას ქვეყნის ინსტიტუციების წინააღმდეგ იყენებდნენ.

— თუ ვინმეს ეპარებოდა ეჭვი, რომ ამ ადამიანის ჯანმრთელობის მდგომარეობა მართლა პრობლემას წარმოადგენდა, რწმუნდება, რომ ეს იყო დიდი სიცრუე ქვეყნის წინააღმდეგ, ბინძური კამპანია იმ ინსტიტუტების წინააღმდეგ — იუსტიციის სამინისტრო, პენიტენციური სისტემა. რეალურად, მას არანაირი პრობლემა არ ჰქონდა. მკურნალობის თვალსაზრისით მას ყველანაირი შესაძლებლობა გააჩნდა, რადგან ჩვენთვის ყველა ადამიანის ჯანმრთელობა და სიცოცხლე მნიშვნელოვანია, — აღნიშნა კახა კალაძემ.

კახა ოქრიაშვილი: „რუსული ოცნების“ ქმედებებიდან გამომდინარე, ჩემი ოპტიმიზმი, რომ საქართველოში ომი არ იქნება, დღითიდღე მცირდება“

პარტია „პროგრესი და თავისუფლებას“ ლიდერი კახა ოქრიაშვილი განცხადებას ავრცელებს, რომელსაც „ინტერპრესნიუსი“ უცვლელად გთავაზობთ:

— „რუსული ოცნების“ მიერ ორგანიზებული ძალადობის ის სერია, რომელიც ამ დღეებში ჩვენმა საზოგადოებამ იხილა, ქვეყანას სამოქალაქო დაპირისპირებისკენ მიაქანებს. „ქართული ოცნება“, პრაქტიკულად, მზადაა, გააჩაღოს სამოქალაქო ომი და იძალადოს საკუთარ მოსახლეობაზე, რათა შეინარჩუნოს ხელისუფლება.

დიახ, „ქართულ ოცნებას“ სურს ომი ხელისუფლებაში დასარჩენად და მათი მოქმედებები არის პირდაპირ სისხლისმღვრელი ომისკენ გადადგმული მკვეთრი ნაბიჯები. მოღალატე ხელისუფლების ქმედებებიდან გამომდინარე, ჩემი ოპტიმიზმი, რომ საქართველოში ომი არ იქნება, დღითიდღე მცირდება.

ერთადერთი გზა, რომ ქვეყანას ომი ავაცილოთ თავიდან, არის „ოცნების“ დამარცხება 2024 წლის არჩევნებზე. „რუსულ ოცნებას“ ან არჩევნების გზით გავისტუმრებთ ხელისუფლებიდან, ან ქვეყანაში სამოქალაქო ომს გააჩაღებენ.

რა თქმა უნდა, ჩემი სურვილია, „რუსული ოცნება“ ხელისუფლებას ჩამოვაშოროთ არჩევნების და არა ომის გზით, — აცხადებს კახა ოქრიაშვილი.

თინა ბოკუჩავა: „ხელისუფლება თავადაა ძალადობის ავტორი და ინიციატორი“

— ხელისუფლება თავადაა ძალადობის ავტორი და ინიციატორი, პარლამენტში ძალადობრივი განცხადებები და ძალადობის ინსცენირება არის სიგნალი სხვა მოძალადეებისთვის, რომელთა დასჯა არასდროს ხდება, — ამის შესახებ თინა ბოკუჩავამ განაცხადა.

ბოკუჩავას თქმით, ხელისუფლებას დაკარგული აქვს საზოგადოების ნდობა და ძალადობით ცდილობს ძალაუფლების შენარჩუნებას.

— ხელისუფლება ახალისებს ძალადობას, რადგან თავად არის ამ ძალადობის ავტორი და ინიციატორი. როცა საკანონმდებლო ორგანოს დარბაზში აკეთებენ ძალადობრივ განცხადებებს და ძალადობის ინსცენირებას, ეს არის სიგნალი სხვა მოძალადეებისთვის, რომელთა დასჯა არასდროს ხდება. ისინი, როგორც წესი, ან პირდაპირ არიან ორგანიზებული „ქართული ოცნების“ მიერ, ან სხვადასხვა სახით ახალისებენ, მათ შორის, დაუსჯელობით ყოველთვის.

ეს არის რეჟიმი, რომელიც დგას ძალადობაზე, დაკარგული აქვს საზოგადოების ნდობა და ცდილობს, ამგვარი ძალადობრივი ჯგუფებით შეინარჩუნოს ძალაუფლება, — განაცხადა ბოკუჩავამ.

კობახიძე: „ხელისუფლება პასუხისმგებლობას იღებს გამოძიებაზე და არა — ძალადობაზე“

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ეხმიანება ბოლო დღეებში ძალადობრივი ჯგუფების ქმედებებს და აცხადებს, რომ ხელისუფლება პასუხისმგებლობას მხოლოდ გამოძიებაზე იღებს.

ჟურნალისტმა კობახიძეს ჰკითხა, იღებს თუ არა პასუხისმგებლობას იმ ორგანიზებულ ჯგუფებზე, რომლებიც განსხვავებული აზრის მქონე ადამიანებს დევნიან.

— ხელისუფლება პასუხისმგებლობას იღებს გამოძიებაზე, ბუნებრივია, საჭიროა ყველა ასეთი ფაქტის გამოძიება. რა თქმა უნდა, ძალადობა არის არასწორი, არის მიუღებელი და ამას სჭირდება, ბუნებრივია, გამოძიება და ხელისუფლების პასუხისმგებლობა არის ასეთი საკითხების გამოძიება.

ზოგადად, ჩვენი ქვეყნისთვის მთავარია, დასრულდეს პოლარიზაცია, შემცირდეს რადიკალიზმის ხარისხი. არიან კონკრეტული ძალები, რომლებიც პირდაპირ, ხელოვნურად ცდილობენ პოლიტიკური ვითარების პოლარიზებას, ცდილობენ რადიკალიზმის შემოტანას და, სამწუხაროდ, ეს ყველაფერი გადადის ხოლმე ძალადობაში. ეს არის ძალიან ცუდი, მე ყველას მოვუწოდებ, თავი შეიკავონ ნებისმიერი ისეთი ქმედებისგან, რომელიც წაახალისებს ქვეყანაში პოლარიზაციის გაღრმავებას, — განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

ბლინკენი: „ჩინეთმა აშშ დაარწმუნა, რომ რუსეთს ლეტალური იარაღით არ დაეხმარება“

შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივნის, ენტონი ბლინკენის თქმით, ჩინელ დიპლომატებთან შეხვედრისას პეკინმა აშშ დაარწმუნა, რომ მას არ გაუგზავნია და არ აპირებს გაუგზავნოს რუსეთს ლეტალური იარაღი.

ბლინკენის თქმით, ჩინეთის გარანტიები დასაფასებელია და არ არსებობს რაიმე მტკიცებულება, რომელიც ამ განცხადებებს ეწინააღმდეგება. თემაზე საუბრისას აშშ-ის სახელმწიფო მდივანმა აღნიშნა, რომ რუსეთს ლეტალურ იარაღს შესაძლოა კერძო ჩინური კომპანიები აწვდიდნენ.

— რაზეც ჩვენ მუდმივად შეშფოთებული ვართ, არის ჩინური ფირმები — კომპანიები, რომლებიც შესაძლოა აწვდიდნენ ტექნოლოგიას, რომელიც რუსეთს შეუძლია გამოიყენოს უკრაინაში თავისი აგრესიის წინსვლისთვის. ამიტომ ჩვენ ვთხოვთ ჩინეთის მთავრობას, რომ იყოს ძალიან ფხიზლად ამ საკითხთან დაკავშირებით, — თქვა ბლინკენმა.

პედოფილიის მსხვერპლი 46 მოზარდი გახდა — პირველი კვარტალის სტატისტიკა

სექსუალური ძალადობის მსხვერპლი 2023 წლის პირველ 3 თვეში 46 არასრულწლოვანი გახდა.

შსს-ს სტატისტიკის მიხედვით, პირველ კვარტალში გაუპატიურების 6 შემთხვევაზე ცნეს 6 არასრულწლოვანი დაზარალებულად, დანარჩენი 40 მოზარდი კი, სხვა სახის სექსუალური ძალადობის მსხვერპლი გახდა.

2023 წლის პირველ კვარტალში სულ 366 არასრულწლოვანს მიანიჭა პროკურატურამ დაზარალებულის სტატუსი სისხლის სამართლის სხვადასხვა საქმეში. ყველაზე ხშირად — 168 შემთხვევა — მოზარდი ძალადობის მსხვერპლი ოჯახში გახდა.

ამავე პერიოდში სისხლისსამართლებრივი დევნა საქართველოში 98 არასრულწლოვნის წინააღმდეგ დაიწყო სხვადასხვა სახის დანაშაულის ჩადენისთვის. მოზარდებს ყველაზე ხშირად — 75 შემთხვევა — ქურდობის მუხლით დანაშაულის ჩადენას ედავება პროკურატურა.

„ბიძინა ივანიშვილი ოლიგარქი არ არის... ჩვენ ეს კანონი არ გვჭირდება“

ირაკლი კობახიძე: „ჩვენ დავაკოპირეთ უკრაინული კანონი და აღმოჩნდა, რომ თურმე ოლიგარქები საქართველოში ყოფილან კეზერაშვილი, ხაზარაძე, „ჭუტა“ და არა ბიძინა ივანიშვილი“

მარიამ მჭედლიშვილი

დეოლიგარქიზაციის კანონის მიღება ერთ-ერთია 12 რეკომენდაციიდან, რომელიც საქართველომ უნდა შეასრულოს იმისთვის, რომ მიიღოს ევროკავშირის წევრობის კანდიდატის სტატუსი.

კანონპროექტი, რომელიც მმართველმა გუნდმა უკრაინაში მიღებული მსგავსი კანონის ანალოგიით შეიმუშავა, ორი მოსმენით უკვე მიღებულია. ამასთან, არსებობს ვენეციის კომისიის კრიტიკული დასკვნა. კერძოდ, ვენეციის კომისია ურჩევს ინიციატორებს, გამოიყენონ სისტემური და არა პერსონალური მიდგომა.

უკრაინაში ოლიგარქის განსაზღვრის კრიტერიუმებია პირის გავლენა პოლიტიკაზე, მედიაზე, მისი ბიზნესის მონოპოლიური მდგომარეობა და შემოსავლების ოდენობა. უკრაინაშიც იყო აზრთა სხვადასხვაობა ამ თემაზე. ზოგიერთი კომენტატორი მიიჩნევდა, რომ დეოლიგარქიზაციის მაგივრად, ჯობდა, მომხდარიყო კონკურენტული გარემოს საფუძვლიანი ჩამოყალიბება და გატარებულიყო სხვა რეფორმები. ასეა თუ ისე, უკრაინაში კანონი მიღებულია, საქართველოში კი ეს საკითხი გაუგებრობას და უთანხმოებას იწვევს.

ვენეციის კომისიის დასკვნას დეოლიგარქიზაციის კანონპროექტზე ბუნდოვანს უწოდებენ „ქართული ოცნების“ ლიდერები. მათი შეხედულებით, უმჯობესია, თუ დეოლიგარქიზაციის საკითხი ამოღებული იქნება 12 პუნქტიდან.

❖ ❖ ❖

„რჩება ბუნდოვანება, თუ რა ჩაითვლება დეოლიგარქიზაციის რეკომენდაციის შესრულებად“

– ყველა შენიშვნა, რომელიც გამოითქვა ამ კანონპროექტთან დაკავშირებით, მასში ასახული იყო. ყურადღებით წავიკითხეთ ვენეციის კომისიის მოხსენების ასპექტი სისტემურ მიდგომაზე. ეს (სისტემური მიდგომა) ევროკომისიის სხვადასხვა რეკომენდაციაშიც არსებობს. გაუგებარია, რა საჭირო იყო დეოლიგარქიზაციაზე ცალკე რეკომენდაციის გაცემა, თუკი ჩვენ ვსაუბრობთ ინსტიტუტების გამართულ მუშაობაზე, – აღნიშნავს პარლამენტის ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე მაკა ბოჭორიშვილი.

მისი თქმით, ამ საკითხზე ისმის სხვადასხვა მოსაზრება, რომელიც ხშირად ცდება ევროკომისიის რეკომენდაციასაც და იმასაც, რაც ვენეციის კომისიის დასკვნაში წერია.

– რჩება ბუნდოვანება, თუ რა შეიძლება ჩაითვალოს დეოლიგარქიზაციის რეკომენდაციის შესრულებად. ჩვენი მთავარი მიზანია, ჩვენ შევფასდეთ პოზიტიურად, რეკომენდაციების შესრულება ჩაითვალოს კარგად და შეიქმნას საფუძველი, რომ გადაწყვეტილება (საქართველოსთვის კანდიდატის სტატუსის მინიჭებაზე) იყოს პოზიტიური, – ამბობს მაკა ბოჭორიშვილი.

❖ ❖ ❖

„გლობალურმა ომის პარტიამ“ ვერ გათვალა“

„ქართული ოცნების“ თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე ამ თემასაც ოპონენტების მხრიდან სპეკულაციას უკავშირებს:

– ეს ჩანაწერი ვიღაცას აწყობდა იმისთვის, რომ სივრცე გაეხსნა სპეკულაციისათვის და ეს მოხდა კიდეც. კუბილიუსი და სხვები საჯაროდ საუბრობდნენ იმაზე, რომ დეოლიგარქიზაცია ნიშნავს ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ რაღაც ზომების გატარებას.

ირაკლი კობახიძის სიტყვებით, ოპოზიციას და მის მომხრეებს უკრაინული კანონის გადმოღების მოთხოვნა ცუდად მოუბრუნდათ. ის ყბადაღებულ „გლობალურ ომის პარტიას“ ამჯერადაც ახსენებს.

– ჩვენ დავაკოპირეთ უკრაინული კანონი და აღმოჩნდა, რომ სინამდვილეში, საქართველოში ოლიგარქები ყოფილან კეზერაშვილი, ხაზარაძე, „ჭუტა“ და არა ბიძინა ივანიშვილი. „გლობალურმა ომის პარტიამ“ ვერ გათვალა. მათ 12 პუნქტში შეიტანეს ისეთი ჩანაწერი, რომელიც სინამდვილეში ოპოზიციის ინტერესებს უპირისპირდებოდა, – აღნიშნა მმართველი პარტიის თავმჯდომარემ.

მისი სისტემური მიდგომა ზოგადად რეფორმებს გულისხმობს:

– დეოლიგარქიზაცია ნიშნავს პერსონალიზებულ მიდგომას. სისტემური მიდგომა არ არის დეოლიგარქიზაცია. აქ საუბარია სხვადასხვა რეფორმის გატარება იმისათვის, რომ არავის ჰქონდეს ჭარბი გავლენის მოპოვების და ჭარბი სარგებლის მიღების საშუალება სხვადასხვა სფეროში. დეოლიგარქიზაცია არაფერ შუაშია.

კობახიძემ გამოთქვა იმედი, რომ ევროპელი პარტნიორები დეოლიგარქიზაციის საკითხს 12-პუნქტიანი გეგმიდან ამოიღებენ:

– ჩვენ არ გვჭირდება ეს კანონი. თუ ამოიღებენ ჩანაწერს დეოლიგარქიზაციის თაობაზე, ეს კანონი აღარ იქნება მიღებული.

❖ ❖ ❖

საქართველოს მთავრობის ნაბიჯები შესაბამისობაში უნდა იყოს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან“

მეორე მოსმენით კანონპროექტის გატანა მომხსენებელმა ანრი ოხანაშვილმა ასე ახსნა:

– ვენეციის კომისია ფიქრობს, რომ უკეთესია, პერსონალიზებულ მიდგომაზე საერთოდ უარი ითქვას. ევროპული კომისიის გადაწყვეტილებით, პარლამენტს განესაზღვრა ამ პუნქტის შესრულება. სასპეკულაციო სივრცე რომ არ დარჩეს, მიზანშეწონილია ამ კანონის დამტკიცება. კანონს მიიღებენ, თუმცა ის გამოქვეყნებისთანავე არ ამოქმედდება.

თემაზე ორი ევროპელი ელჩის მოსაზრება ასეთია:

ჩეხეთის ელჩი პეტრ მაკისკა:

– ვფიქრობთ, რომ საქართველოს მთავრობის ნაბიჯები შესაბამისობაში უნდა იყოს ვენეციის კომისიის რეკომენდაციებთან.

ავსტრიის ელჩი თამას მიულმანი:

– ჯერ კიდევ არის დრო შესაბამისი კანონპროექტის განსახილველად. დარწმუნებული ვარ, შემდგომი განხილვისას საერთო გზა იქნება გამონახული.

ღვიძლის გადანერგვის ოპერაციას სახელმწიფო სრულად დააფინანსებს

რა საკითხებზე იმსჯელეს მთავრობის სხდომაზე

საქართველოს პრემიერ-მინისტრის ირაკლი ღარიბაშვილის ხელმძღვანელობით მთავრობის სხდომა გაიმართა.

მინისტრთა კაბინეტის წევრებმა 10 საკითხი განიხილეს.

განსახილველ საკითხთა შორის იყო „2023 წლის ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო პროგრამების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი, რომლის საფუძველზეც ჯანდაცვის სამინისტრო ღვიძლის ტრანსპლანტაციის ძვირადღირებულ ოპერაციას სრულად დააფინანსებს.

აქამდე მოქმედი პროგრამით, ღვიძლის ტრანსპლანტაცია დადგენილი ტარიფის ფარგლებში ფინანსდებოდა არა უმეტეს 70.000 ლარით, პაციენტის თანაგადახდის წილი კი, 50.000 ლარს შეადგენდა. მოქალაქეებისთვის ჯანდაცვის სერვისების ფინანსური ხელმისაწვდომობის გაუმჯობესების მიზნით, ღვიძლის ტრანსპლანტაციის კომპონენტს თანაგადახდის წილი მთლიანად მოეხსნა და ჯანდაცვის სამინისტრო მომსახურებას სრულად – 120.000 ლარით დააფინანსებს.

ამასთან, აღსანიშნავია, რომ ორგანოგადანერგილი პირები შშმ სტატუსის დადგენის უფლებით ვერ სარგებლობდნენ, რისთვისაც შესაბამისი ცვლილებები განხორციელდა მიმდინარე წლის იანვარში და ღვიძლის, გულის ან თირკმლის გადანერგვა მნიშვნელოვნად გამოხატული შესაძლებლობის შეზღუდვის სტატუსის დადგენის საფუძველს წარმოადგენს.

მთავრობის სხდომაზე მინისტრთა კაბინეტის წევრებმა განიხილეს საქართველოს მთავრობის დადგენილების პროექტი „სოციალური დახმარების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2006 წლის 28 ივლისის №145 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“, რომლის საფუძველზეც 2023 წლის 1 ივლისიდან გაიზრდება ბავშვის ბენეფიტის ოდენობა 150 ლარიდან 200 ლარამდე თითოეულ 16 წლამდე ასაკის ბავშვზე.

აღნიშნული ცვლილება შეეხება დაახლოებით 233.000 ბავშვს. პროგრამის ბიუჯეტი ნახევარ მილიარდ ლარამდეა.

1-ელი ივლისიდან სოციალურად დაუცველი ბავშვების ყოველთვიური დახმარება 200 ლარამდე იზრდება

საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის, ზურაბ აზარაშვილის განცხადებით, მიმდინარე წლის ივლისიდან სოციალურად დაუცველი ბავშვები ყოველთვიური დახმარების სახით 200 ლარს მიიღებენ.

მინისტრის განმარტებით, აღნიშნულიდან გამომდინარე პროგრამის ბიუჯეტს 70 მილიონი ლარი დაემატება.

– მეორე საკითხი ეხებოდა სოციალურად დაუცველ ბავშვებს და მოგეხსენებათ, ადრეც გვქონდა დაანონსებული, რომ მიმდინარე წლის ივლისის თვიდან 200 ლარი გახდა დახმარება.

ჯამში წლევანდელ ბიუჯეტს 70 მილიონი ლარი დაემატება და ამ ბავშვებს უკვე 200-ლარიან დახმარებას გადავუხდით. წლის განმავლობაში ჯამში ნახევარ მილიარდ ლარამდე გადავიხდით სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის 200-ლარიან ყოველთვიურ დახმარებას, – აღნიშნა ზურაბ აზარაშვილმა მთავრობის სხდომის დასრულების შემდეგ გამართულ ბრიფინგზე.

„შაქარიშვილის იქნება თუ ვასაძის მოძალადე ჯგუფი, ყველას ბიძინა აკონტროლებს“

დასაწყისი მე-2 გვერდზე

ბრეგაძე, ამას ბიძინა აკონტროლებს. ხან ვის გამოაგდებს და ხან ვის. ამათაც ბიძინას ფულებად ულირთ ეტყობა ეს ყველაფერი.

– რას იტყვით ოპოზიციაზე. რა მიზანს ემსახურება სააკაშვილის ბოლო პერიოდის აქტიურობა? ეს ისევ ხელისუფლებას აწყობსო. რა ხდება რეალურად?

– პირადად ჩემთვის, ეს ყველაფერი მოულოდნელი არ ყოფილა. აბა რას იზამდა სააკაშვილი?! მისგან სხვას რას ელოდნენ?! ცოტა მეტად დაღვინდეს ოპოზიცია და ბოლოს და ბოლოს მიხვდნენ, რომ სააკაშვილი არის ასეთი, როგორიც არის. ის სხვანაირი ვერ გახდება. ის დინჯი და სხვაზე მოფიქრალი ვერასოდეს გახდება.

– რასაც სააკაშვილი აკეთებს, ეს ხომ „ოცნების“ თამაშია? მათაც ხომ აწყობთ მიშას გააქტიურება?

– ბოდიში და ეს სულ ცალ ფეხზე არ ჰკიდია მიშა სააკაშვილს?! სულაც არ ფიქრობს სააკაშვილი, რომ „ოცნების“ თამაშს თამაშობს. თუ მიშა თვითონ არ არის ხელისუფლების სათავეში, თუ თვითონ არ არის ლიდერი, საერთოდ არ აინტერესებს სხვანაირად. ის ასეთი იყო ყოველთვის. ხელისუფლებაში ყოფნის დროსაც ასეთი იყო, ოპოზიციაშიც ასეთია. მიშას არ აინტერესებს ოპოზიციის გამარჯვება მის გარეშე. ჩემს მერე ქვა ქვაზე ნუ დარჩენილაო, აი ეგეთი ტიპია სააკაშვილი. ის არის პოლიტიკური ეგოისტი. ამ პოლიტიკოსებმა ისწავლონ, რომ მიშა არის ასეთი და ის არ შეიცვლება. ყოველთვის შეეცდება, თავის თავი წამოწიოს წინა პლანზე. ვარიანტი არ არის, სხვანაირად მოიქცეს. აბა რას ელოდნენ, ხაბეიშვილი რომ ვერ იქნება ნაცმოძრაობის ლიდერი, გინდა მერაბიშვილი და გინდა კეზერაშვილი, ეს უნდა სცოდნოდა ყველას. ნაცმოძრაობის 80% თუ მეტი არა, პირადად სააკაშვილის ამომრჩეველია, აბა ვინ ეყოლებათ ლიდერად თუ მიშა არა?!

– აქტიურად საუბრობენ ოპოზიციურ ერთობაზე. რა გამოვა აქედან?

– არაფერიც არ გამოვა. ვინც მიშასთან გაერთიანდება, ის იქნება სააკაშვილთან მისული და არა მასთან გაერთიანებული. შეუძლებელია, სააკაშვილთან გაერთიანდე. ყველა პარტია არის 2-3%-იანი და ნაცმოძრაობა არის 15%-იანი. ყველა ვარიანტში ის იქნება განმსაზღვრელი, ანუ იმან მიგიყვანა თავისთან. ვინ მივა, არ ვიცი, მაგრამ რამდენიც არ უნდა მივიდეს მიშასთან, არა მგონია, დამატებით ხმები მიიტანონ.

ძირითადი საპროტესტო ელექტორატი, რომელსაც შეუძლია გადაწყვიტოს ხელისუფლების ბედი, ეს არის ის ამომრჩეველი, რომელსაც არც სააკაშვილი არ უნდა და არც ივანიშვილი. აი აქ ვიჭედებით, აქ გვაქვს ცუდად საქმე და არ ჩანს არაფერი სასიკეთო. ისევ ხელისუფლების იმედზე უნდა ვიყოთ. რომ ის ისეთ კრეტინობას ჩაიდენს, რომ არჩევნებზე საოცარი მობილიზება მოხდება. თორემ, როგორც დღეს ოპოზიცია მოქმედებს, ვერ ვხედავ, რომ ისინი მაინცდამაინც რაციონალურები არიან. სხვებთან შედარებით რაციონალურია და უკეთ გამოიყურება გახარიას პარტია, რომელსაც რაღაც შანსი იმისა, რომ მარტო, დამოუკიდებლად გადალახოს 5%-იანი ბარიერი, აქვს.

– „ლელოზე“ რას იტყვით? მათ ერთობაზე საუბრობს ზოგი.

– „ლელოს“ არავითარი შანსი არა აქვს, მარტო გადალახოს ბარიერი. ეს არის გამორიცხული! ვერ აიღებს 5%-ს. არ ვიცი, ეს რატომ არის რთული მისახვედრი? ვერ აფასებენ ობიექტურად სიტუაციას. სოციოლოგიას არ ენდობიან. ჩაატარონ ობიექტური კვლევა და გაიგონ, რა არის ამომრჩევლის მოთხოვნა და დაკვეთა. არ ვიცი, რას ელოდებიან, ან რას აპირებენ.

უზენაესმა სასამართლომ ნიკა გვარამია პატიმრობაში დატოვა

„მთავარი არხის“ დამფუძნებლის, ნიკა გვარამიას, ასევე, კახაბერ დამენიასა და ზურაბ იაშვილის საქმეზე უზენაესმა სასამართლომ სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება ძალაში დატოვა.

ქვეყნის უმაღლესი ინსტანციის სასამართლომ როგორც ბრალდების მხარის, ასევე დაცვის მხარის საკასაციო საჩივრები დაუშვებლად მიიჩნია. შესაბამისად, ნიკა გვარამიასთვის 3 წლითა და 6 თვის ვადით მისჯილი თავისუფლების აღკვეთა ძალაშია.

ცნობისთვის, თბილისის საქალაქო სასამართლომ ნიკა გვარამიას თავისუფლების აღკვეთა 3 წლითა და 6 თვის ვადით მიუსაჯა, რაც სააპელაციო სასამართლომ ძალაში დატოვა. ამასთან, სააპელაციო სასამართლომ ნიკა გვარამიას 6 მილიონ 700.000 ლარის გაფლანგვის ეპიზოდზე სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებისთვის შეფარდებული 50.000-ლარიანი ჯარიმა პატიმრობით შეუცვალა, თუმცა საბოლოოდ, მას საპატიმროში ყოფნა აქამდე განსაზღვრული 3 წლითა და 6 თვის ვადით განესაზღვრა.

რაც შეეხება კახაბერ დამენიასა და ზურაბ იაშვილს, თბილისის სააპელაციო სასამართლომ მათ მიმართაც თბილისის საქალაქო სასამართლოს მიერ გამოტანილი განაჩენი ძალაში დატოვა, რომლის მიხედვითაც, კახაბერ დამენიას 50.000-ლარიანი ჯარიმა დაეკისრა, ზურაბ იაშვილი კი უდანაშაულოდ იქნა ცნობილი. აღნიშნული პირების მიმართ გამოყენებული გადაწყვეტილებაც ძალაში რჩება.

უზენაესი სასამართლოს დღევანდელი გადაწყვეტილებით ნიკა გვარამიას საქმეზე ქვეყნის ყველა ინსტანციაში ბრძოლა დასრულდა.

ცნობისთვის, თბილისის სააპელაციო სასამართლოს გადაწყვეტილება გასაჩივრებული ჰქონდა როგორც ბრალდების, ასევე დაცვის მხარეს. პროკურატურა სამივე ბრალდებულის მიმართ გამამტყუნებელი განაჩენის გამოყენებას, დაცვის მხარე კი, მათ გამართლებას ითხოვდა. პირველი და მეორე ინსტანციის სასამართლოს გადაწყვეტილებით, ნიკა გვარია და კახაბერ დამენია დამნაშავედ იქნა ცნობილი, ზურაბ იაშვილი კი წარდგენილ ბრალდებაში გამართლდა.

გენერალურმა პროკურატურამ 2020 წლის 6 სექტემბერს, „რუსთავი 2“-ის საქმეზე ბრალი ნიკა გვარამიას, ასევე „რუსთავი 2“-ის ყოფილ ფინანსურ დირექტორს კახა დამენიასა და „ინტერ მედია პლიუსის“ დირექტორს ზურაბ იაშვილს წაუყენა. ნიკა გვარამიას ბრალად ედებოდა წინასწარი შეთანხმებით, ჯგუფის მიერ დიდი ოდენობით „რუსთავი 2“-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების გაფლანგვა, კომერციული მოსყიდვა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადება, „უცანური“ შემოსავლის ლეგალიზაცია. ნიკა გვარამიას ასევე ბრალი ედებოდა სამსახურებრივი უფლებამოსილების ბოროტად გამოყენებაში. გვარამიას აღკვეთის ღონისძიების სახით 40.000-ლარიანი გირაო ჰქონდა შეფარდებული. ამასთან, მას ქვეყნიდან გასვლის უფლება ჰქონდა შეზღუდული. კახა დამენიას გამოძიება სამაუწყებლო კომპანია „რუსთავი 2“-ის კუთვნილი ქონებრივი უფლების დიდი ოდენობით მართლსაწინააღმდეგო გაფლანგვაში ედებოდა, რაც ჩადენილი იქნა წინასწარი შეთანხმებით ჯგუფის მიერ, სამსახურებრივი მდგომარეობის გამოყენებით. დამენიას აღკვეთის ღონისძიების სახით 50 000-ლარიანი გირაო ჰქონდა შეფარდებული. მას ასევე, აკრძალული ჰქონდა სახელმწიფო საზღვრის დატოვება საგამოძიებო ორგანოს ინფორმირებისა და თანხმობის გარეშე. რაც შეეხება ზურაბ იაშვილს, მას ბრალი ედებოდა კომერციულ მოსყიდვასა და ყალბი ოფიციალური დოკუმენტის დამზადებაში. იაშვილს აღკვეთის ღონისძიების სახით 50.000-ლარიანი გირაო ჰქონდა შეფარდებული.

სოფელ შემოქმედში, 80 წლამდე ქალი ჭაში ჩავარდა და დაიღუპა

ოზურგეთში, სოფელ შემოქმედში 80 წლამდე ქალი ჭაში ჩავარდა და დაიღუპა. ინფორმაციას „გურია ტვ“ ავრცელებს.

გამოცემა წერს, რომ შემთხვევა გუშინ მოხდა. არსებული ინფორმაციით, ქალმა გზად ჭა, რომელიც ამოშენებული არ იყო, ვერ შენიშნა. ოჯახმა ცხედარი რამდენიმესაათიანი ძებნის შემდეგ იპოვა.

სპეციალური საგამოძიებო სამსახურის განცხადება ლუკა შველიძის საგამოძიებო ორგანოში დაბარებასთან დაკავშირებით

2023 წლის 18 ივნისს სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში შემოსული შეტყობინების საფუძველზე, რომლის თანახმადაც მიმდინარე წლის 17 ივნისს, სოციალურ ქსელში გავრცელებული ინფორმაციით, ნასვამ მდგომარეობაში მყოფი პოლიციის თანამშრომელი კლინიკაში მყოფ ლუკა შველიძეს პალატაში იარაღით დაემუქრა, სამსახურმა ფაქტის შესწავლა მყისიერად გუშინვე დაიწყო.

კერძოდ, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებელი, 18 ივნისს, უწყებაში შეტყობინების შემოსვლისთანავე, დაუკავშირდა შეტყობინების ავტორს – ლუკა შველიძის დედას და მომხდარ ფაქტთან დაკავშირებით გასაუბრების მიზნით საგამოძიებო სამსახურში გამოცხადებაᲡ სთხოვა.

2023 წლის 18 ივნისს, სპეციალური საგამოძიებო სამსახურის გამომძიებლის მიერ ასევე შედგა სატელეფონო კომუნიკაცია ლუკა შველიძესთან და მას გასაუბრების მიზნით მისთვის სასურველ დროს საგამოძიებო ორგანოში გამოცხადება შესთავაზა, რაზეც მან განმარტა, რომ მიმდინარე წლის 20 ივნისს გამოცხადდებოდა სპეციალურ საგამოძიებო სამსახურში.

სპეციალური საგამძიებო სამსახური აღნიშნული ფაქტის შესწავლას აგრძელებს, რა დროსაც კანონით გათვალისწინებული ყველა საჭირო ღონისძიება განხორციელდება.

ჭიათურაში გაფიცულმა ერთ-ერთმა მაღაროელმა ხელზე თვითდაზიანება მიიყენა



ჭიათურაში მაღაროელმა პროტესტის ნიშნად ხელზე თვითდაზიანებები მიიყენა. სასწრაფო დახმარებამ ის საავადმყოფოში გადაიყვანა.

პროტესტის მონაწილეები ხელფასების გაზრდასა და სამუშაო პირობების გაუმჯობესებას ითხოვენ. დასაქმებულების თქმით, ვიდრე მათი მოთხოვნები არ დაკმაყოფილდება, ისინი მუშაობის გაგრძელებას არ აპირებენ.

კლინიკას, სადაც პაციენტებს განკურნებას სთავაზობდნენ და ორგანიზმში კოქტეილები შეჰყავდათ, პაციენტები უჩივიან

საექიმო საქმიანობა ლიცენზიის გარეშე და პაციენტების სიცოცხლე რისკის ქვეშ – „რეგმედ ჯორჯიას“ პაციენტები სამედიცინო დაწესებულებას თაღლითობაში ადანაშაულებენ. დაზარალებულები „კურიერი P.S.“ უყვებიან, რომ კლინიკა მათ ეპილეფსიის, ალცჰაიმერის, ცერებრალური დამბლის და სხვა დაავადებების მკურნალობას ჰპირდებოდა, ამისთვის კი ექიმებს პაციენტების ორგანიზმში სპეციალური კოქტეილები შეჰყავდათ.

შედეგი ათობით პაციენტისთვის უმძიმესი აღმოჩნდა. ერთ-ერთი პაციენტის შვილი კლინიკას დედის გარდაცვალებაში ადანაშაულებს. დაზარალებულებმა უკვე ერთდროულად მიმართეს პროკურატურას, პოლიციას, ჯანდაცვის სამინისტროს, შემოსავლების სამსახურს.

„კურიერი P.S.“ გადამღები ჯგუფის გამოჩენას სამედიცინო დაწესებულებაში ხმაური მოყვა. კლინიკის ხელმძღვანელობამ კამერებთან კომენტარის გაკეთება არ ისურვა. ამასთან, „რუსთავი 2-ის“ გადამღებ ჯგუფს სიტყვიერი შეურაცხყოფაც მიაყენეს.

„რეგმედ ჯორჯია“ საქართველოში 2 წლის წინ გაიხსნა და ის პაციენტებს ისეთი დაავადებების მკურნალობასა და პრევენციას სთავაზობს, რომელიც რთულად, ან საერთოდ არ იკურნება. კლინიკის დამფუძნებელი თენგიზ ტყებუჩავა ამბობს, რომ რეგენერაციული აგენტებით მკურნალობა ახალი მეთოდია. ღეროვანი უჯრედების გააქტიურება, სისხლის ფილტრაცია, ოზონიზაცია, დასხივება, სპეციალური კოქტეილების დამზადება – თერაპიული მკურნალობის მეთოდები განსხვავებულია.

ინტერნეტ სივრცეში გავრცელებულ ვიდეოში პროცესს ზედაპირულად, მაგრამ დამაჯერებლად აღწერს. ამბობს, რომ გადარჩენილი ჰყავს ისეთი პაციენტები, რომლებსაც ტრადიციული სამედიცინო მეთოდით მკურნალობა ვერ დაეხმარა.

სუროგატი დედებისგან დამკვეთებს მათივე ბიოლოგიური შვილები მიჰყავდათ

სუროგაციის სააგენტოების მიერ დაზარალებული ადამიანების რიცხვი იზრდება – ირკვევა, რომ არაკეთილსინდისიერმა კომპანიებმა ქალების ნდობით ისარგებლეს და განაყოფიერებისთვის მათივე კვერცხუჯრედები გამოიყენეს, თანაც ისე, რომ დონორებმა ამის შესახებ საერთოდ არაფერი იცოდნენ. საბოლოოდ კი გამოვიდა, რომ დამკვეთებმა სუროგატი დედების ბიოლოგიური შვილები წაიყვანეს. სასამართლოში უკვე არაერთი სარჩელია შეტანილი.

უკონტროლო სფეროს რეგულირების მიზნით – კანონი მკაცრდება. 2024 წლის პირველი იანვრიდან, საქართველოში აიკრძალება უცხოელი წყვილებისთვის სუროგაცია და ამ მომსახურების მიღება მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის იქნება დაშვებული. კანონით დარეგულირდება სუროგატი დედის ანაზღაურების საკითხიც.

საკანონმდებლო ცვლილება პრემიერ-მინისტრმა მთავრობის სხდომაზე დააანონსა, მთავარ არგუმენტად ქვეყანაში დემოგრაფიის განვითარების მხარდაჭერა დაასახელა.

ჯანდაცვის სამინისტროს კანონპროექტი მზად აქვს და ინიციატივის განხილვას პარლამენტი უახლოეს მომავალში დაიწყებს. კანონის დამტკიცების შემთხვევაში, სუროგაცია მხოლოდ საქართველოს მოქალაქეებისთვის, არაკომერციული მიზნით და მხოლოდ ნებაყოფლობით იქნება დაშვებული.

საზოგადოება

გაგა ჩხეიძე ჭორების საფუძველზე ცილისწამებას აპროტესტებს

დასაწყისი მე-8 გვერდზე

დან არსებობს, მეტსაც გეტყვით, ერთ-ერთი შენობის სარდაფი 400 კვ.მ. გაყიდული იყო და იქ მშვენივრად ფუნქციონირებდა ბარი-საუნა „ბუდვაიზერი“ ანუ საქვეყნოდ ცნობილი „კინოსტუდიის ბორდელი“.

ჩვენი მიზანი იყო, ნელ-ნელა გაგვეზარდა შემოსავლები და წლიური მოგებიდან დაგვეფინანსებინა კინოპროექტები. ეს ასეც ხდებოდა წლების განმავლობაში. „ქართული ფილმის განვითარების ფონდს“ ჰყავდა 100-მდე მოიჯარე და მათგან მიღებული შემოსავლებიდან დაფინანსებული აქვს, მაგალითად, „მემატიანეს“ ფირების კატალოგიზაცია, კინოლიტერატურის გამოცემა, სამგზავრო გრანტები, კინოფესტივალები, კინოპროექტების განვითარება, სტუდენტური ფილმები, კონფერენციები, კინოორგანიზაციების ტექნიკური აღჭურვა და ა.შ. ფონდი არაერთხელ დახმარებია კინოსტუდია „ქართულ ფილმს“ ფინანსურად. წლიური სუფთა მოგება საშუალოდ იყო 60.000 ლარის ფარგლებში, ამიტომ კინოწარმოების დაფინანსებას ფონდი ვერ ახერხებდა.

პარალელურად ფონდი მუშაობდა სხვადასხვა დეველოპერსა და ინვესტორთან ტერიტორიაზე ე.წ. კინოქალაქის განხორციელების მიზნით. სამწუხაროდ, ფონდისთვის ბოლომდე მისაღები ბიზნესპროექტი არ გამოჩნდა.

გამგეობის წევრები სრულად ვაცნობიერებდით, რომ ჩვენ ანგარიშვალდებული ვიყავით ქართული კინოსაზოგადოების წინაშე და არ შეიძლებოდა, დაგვეშვა თუნდაც მცირედი შეცდომა. წლების მანძილზე კბილებით ვიცავდით ტერიტორიას, არ გაგვისხვისებია და გაგვიყიდია არც ერთი კვადრატული მეტრი მიწა ან შენობა. ის, რომ ეს ტერიტორია შენარჩუნებულია და არ არის გაყიდული და დაქუცმაცებული დიღმის სტუდიასავით, ეს ნანა ჯორჯაძის, ქეთი დოლიძის, გელა კანდელაკის, კოტე ჩლაიძის, მერაბ თავაძის და კიდევ რამდენიმე ადამიანის დამსახურებაა, მათ შორის, ჩემიც.

ვინაიდან დიდი ინვესტორის შემოსვლა არ მოხერხდა, ჩვენ რაღაც ეტაპზე გადავწყვიტეთ, თავად გვექცია ეს ტერიტორია კინემატოგრაფისტებისთვის და კინოსთან დაკავშირებული პროფესიებისთვის მიმზიდველ ადგილად, კულტურის ცენტრად, სადაც იქნებოდა როგორც სტუდიები და სახელოსნოები, ისე საფესტივალო და კომერციული სივრცე. არსებობს ჩვენ მიერ შედგენილი ჩამონათვალი იმ ობიექტებისა, რომლებსაც აქ უნდა დაედო ბინა.

ეს პროექტი თანდათან ვითარდებოდა. პირველი ნაბიჯი იყო კაფე „პოლიტიკის“ გახსნა, რომელიც მაშინვე იქცა შემოქმედი ახალგაზრდობის თავშეყრის ადგილად, ასევე, მიგდებული აუზის და მისი მიმდებარე ტერიტორიის გარემონტება. ხელოვანმა ხალხმა დაიწყო ფართების იჯარით აღება სხვადასხვა შენობაში. აქ მუშაობდნენ მხატვრები, აუდიოტექნიკოსები, იყო ძალიან საინტერესო ავეჯის დიზაინის სახელოსნო, საბავშვო სტუდია, თბილისის კინოფესტივალის ოფისი, სტამბა და ა.შ.

სამწუხაროდ, ფონდის დირექტორი ჯეროვნად არ „აპიარებდა“ ფონდის საქმიანობას და მეც ამიტომ მიწევს ამდენი რამის ახსნა-განმარტება.

და შემდეგ რა მოხდა? მთელი ეს ჩვენი იდეები და პროექტი უცებ მიითვისა ქალბატონმა მინისტრმა (შეგიძლიათ მოუსმინოთ მის გამოსვლას სამთავრობო საათის დროს პარლამენტში 2021 წელს, 2022 წლის დასაწყისში, ერთი თვის განმავლობაში ყველას დაგვაცლევინა შენობა და წამოიწყო რაღაც პროცესი, რომლის შესახებ არავინ არაფერი იცის.

მინდა, შევახსენო ქალბატონ მინისტრს, რომ „ძველი კინოსტუდიის“ ტერიტორია მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობებით არის ქართული კინოს ისტორიული მეხსიერება, კულტურის ძეგლი, რომელიც ამ ქვეყნის კინემატოგრაფისტებს ეკუთვნის, და მათ სრული უფლება აქვთ, ჰქონდეთ ინფორმაცია აქ მიმდინარე პროცესების შესახებ.

ასევე, მსურს მივმართო ჩვენს ახალ თაობას: მიუხედავად იმისა, რომ თქვენ არ გაქვთ ემოციური ბმა ამ ადგილთან, ეს თქვენი საკუთრებაა, თქვენი სივრცეა, რომელზეც ხელი უნდა მიგიწვდებოდეთ და რომელსაც მაქსიმალურად უნდა იყენებდეთ თქვენი შემოქმედებითი საქმიანობისთვის. ამასწინათ შეკრების ადგილს ეძებდით, ჰოდა, ეს გახლავთ იდეალური ადგილი, სადაც უამრავი რამის გაკეთებაა შესაძლებელი. მიდით, იმოქმედეთ, სანამ ეს სრულიად უნიკალური და ძვირფასი სივრცე ზვიგენების მსხვერპლი გახდება, ხოლო ქალბატონ მინისტრს ვურჩევდი, უკეთესი ინფორმატორები დაიქირავოს, რომლებიც უამბობენ, ვინ, რას და როგორ იპარავდა ფონდში და ნუ მწამებს ცილს ჭორების საფუძველზე. ძალიან უშედეგო იქნება ეს მცდელობა.

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

2023, 20 ივნისი, №119

უკრაინული კონტრშეტევების პერსპექტივები

რუსეთ-უკრაინის ფრონტზე ვითარება კვლავ შეიცვალა. უკრაინული არმია გააქტიურდა. უკრაინელები უტევენ დონეცკის, ლუგანსკის და ზაპოროჟიეს ოლქების მიმართულებებით. რაც შეეხება ხერსონს, აქ მდგომარეობა უცვლელია. კახოვკის ჰესის აფეთქების შემდეგ უკრაინელთა აქტიურობა მკვეთრად დაეცა. მართალია უკრაინული არმია უკვე დნეპრის ფორსირებას იწყებდა, მაგრამ ჰესის აფეთქებამ ეს შეაჩერა.

რუსი ე.წ. ექსპერტები ლაპარაკობენ უკრაინული შეტევების დაბალ ტემპებზე. სინამდვილეში უკრაინელთა ფართომასშტაბიანი შეტევა ჯერ არ დაწყებულა. თანახმად აშშ-ის ომის შემსწავლელი ინსტიტუტის ცნობისა, უკრაინელები კონტრიერიშისათვის კარგად მოემზადნენ. შექმნილია 20 ახალი ბრიგადა. ისინი მთლიანად ნატოს სტანდარტებით არიან მომზადებული. აქედან დღეისათვის ბრძოლის ველზე იბრძვის მხოლოდ 2 ბრიგადა.

რაც შეეხება შეტევის დაბალ ტემპს, ეს განსაზღვრა არაზუსტია. ფართომასშტაბიანი კონტრშეტევა ჯერ არ დაწყებულა. დღეისათვის უკრაინელებმა 100 კვ. კმ ტერიტორიის გათავისუფლება შეძლეს. წარმატებები მიღწეულია ბახმუტშიც. უნდა აღინიშნოს, რომ აქ რუსეთის არმიას ორად ორი გამოსავალი რჩება: ან ბახმუტთან ჩაწვეს, ან ქალაქი დატოვოს.

რაც შეეხება სიტუაციას ავდეევკასთან, იქ უკრაინელები თავის პოზიციებს მტკიცედ იცავენ და წინაც მიწევენ. მარინკასთან რუსების ყველა მცდელობა წინ წასულიყვნენ, მარცხით დამთავრდა. უგლედართან კი რუსმა ოკუპანტებმა მარცხი განიცადეს და უკან დაიხეს. რევანშის აღების მცდელობა კრახით დასრულდა.

გააფთრებული ბრძოლებია ზაპოროჟიეს ოლქშიც. აქ უკრაინელებმა მოზრდილი ტერიტორიის გათავისუფლება შეძლეს. რუსი ოკუპანტების მიერ კონტრშეტევის ორგანიზების მცდელობა კრახით დასრულდა.

გრძელდება პარტიზანული აქციები დროებით ოკუპირებული მარიუპოლის, ბერდიანსკის და ყირიმის ტერიტორიებზე. განუწყვეტელი აფეთქებებია მარიუპოლში, ბერდიანსკში, ჯანკოიში, სევასტოპოლში. აქ უკრაინული რაკეტის მიზანში მოხვედრის შედეგად სინათლე გაქრა. ექსპერტების უმრავლესობა კონტრშეტევის შემდგომი განვითარების საკითხში ოპტიმისტურადაა განწყობილი. მართლაც, რუსეთის არმია ქანცგამოცლილი და სისხლისაგან დაცლილია. ამავე დროს კონტრშეტევის წარმატებით დაგვირგვინებისათვის უკრაინას შორსმსროლელი არტილერია სჭირდება. დასავლეთმა ასეთი უკვე მიაწოდა, მაგრამ ეს საკმარისი არაა. იმის მიხედვით, თუ რამდენად სწრაფად მოხდება ამ არტილერიის მიწოდება უკრაინისათვის, ბევრი რამ იქნება დამოკიდებული. მეორე უმნიშვნელოვანესი კომპონენტი, რასაც ასევე საჭიროებს უკრაინა, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვის კიდევ უფრო სრულყოფაა. მესამე კი, თანამედროვე დასავლური ავიაციაა. აქ საუბარია ავიაგამანადგურებელ ღ-16-ზე.

ამრიგად, უკრაინული კონტრშეტევის წარმატებით დასრულების ალბათობა დიდია. მომავალი გვიჩვენებს, თუ რამდენად გამართლდება ეს მოლოდინი.

ნატო უკრაინისადმი დახმარებას გააძლიერებს

ამა წლის 11-12 ივლისს ვილნიუსში გაიმართება ნატოს სამიტი. ნატოს გენერალურმა მდივანმა სტოლტენბერგმა განაცხადა, რომ ჩრდილო ატლანტიკური ალიანსისაგან უკრაინა მიიღებს დახმარების ახალ პაკეტს.

ნატოს გენერალურმა მდივანმა განაცხადა, რომ უკრაინის ნატოში მოწვევაზე ლაპარაკი ნაადრევია. ალიანსთან კონტაქტები, კი ბატონო, დანარჩენი დროის საკითხია.

– რა თქმა უნდა, უკრაინა ნატოს წევრი აუცილებლად გახდება! რაც შეეხება დანარჩენს, საამისოდ დროა აუცილებელი, – თქვა სტოლტენბერგმა.

ზელენსკიმ პუტინი სიცრუეში ამხილა

როგორც ცნობილია, რუსეთის დიქტატორმა პუტინმა განაცხადა, რომ რუსული რაკეტებით კიევში ხუთი ამერიკული პეტრიოტის ტიპის რაკეტა მოსპეს. უკრაინის პრეზიდენტმა ზელესკიმ ეს უარყო.

პრეზიდენტმა განაცხადა, რომ კიევში ყველა პეტრიოტის ტიპის რაკეტა სამშობლოს სადარაჯოზეა.

– ყველა რუსული რაკეტა, რომელიც კიევისაკენ გამოუშვეს, ჩამოგდებულია! – განაცხადა ზელენსკიმ.

რუსი ოკუპანტების რიგებში დანაკარგები გაიზარდა

უკრაინის ტერიტორიაზე საომარი მოქმედებები გრძელდება. ოკუპანტებისაგან უკვე გათავისუფლებულია რიგი ტერიტორიები. დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში გაიზარდა.

დღეისათვის ყველაზე გააფთრებული ბრძოლებია დონეცკის ოლქის დასავლეთით, ლუგანსკის ოლქში, ზაპოროჟიეს ოლქში. უკრაინული არმია მტკიცედ დაეუფლა ინიციატივას.

განხორციელდა უკრაინული არტილერიის დარტყმა დონეცკზე. შედეგად აფეთქდა 3 რუსული ყაზარმა. დაღუპა 50 რუსი ჯარისკაცი. უკრაინელმა მეომრებმა მოკლეს რუსი გენერალი გორიაჩევი. ამას გარდა, განადგურებულია რუსების 11-მდე იარაღის საწყობი ხერსონის ოლქში.

ზაპოროჟიეს ოლქში უკრაინულმა არმიამ დაიკავა სოფელი პიატიხატკი. მართალია, რუსული მედია აცხადებდა, რომ სოფელი დაიბრუნეს, მაგრამ ეს მორიგი სიცრუე აღმოჩნდა.

მოსპობილია რუსების ორი ბატალიონი. მხოლოდ ლუგანსკის ოლქში აფეთქებულია 4 რუსული ყაზარმა. დაიღუპა 200 რუსი ჯარისკაცი.

ამერიკელი და ინგლისელი ექსპერტების ცნობით, ამ ეტაპზე უკრაინელთა წარმატებები უდავოა. აღსანიშნავია, რომ ბრძოლაში ჯერჯერობით მხოლოდ უკრაინელთა ორი ბრიგადა ჩაება, მაგრამ უკვე მომზადებულია 20 ბრიგადა. ისინი ნატოს სტანდარტების მიხედვით არიან მომზადებულ-აღჭურვილნი.

დანაკარგები რუსი ოკუპანტების რიგებში

რუსი ოკუპანტების რიგებში შემდეგი დანაკარგებია: ტანკები – 3.984, არტილერია – 3.847, ჰაერსაწინააღმდეგო თავდაცვა – 364, თვითმფრინავები – 314, ვერტმფრენები – 304, უპილოტო საფრენი აპარატები – 337, ფრთოსანი რაკეტები – 1.211. განადგურებულია 222.000 ოკუპანტი.

მოამზადა ნიკა თევზაძემ

განცხადებები

● კუჭ-ნაწლავის პრობლემების მოგვარება: შეკრულობა (ყაბზობა, სველი და მშრალი კოლიტი), დიარეა, გასტრიტი, დისბაქტერიოზი, ენტერიტი, პარაზიტები, უსიამოვნო სუნი პირიდან. მხოლოდ მცენარეული საშუალებებით. მის: აღმაშენებლის №154. ექიმი – მზია. ტელ: 593 44 58 65.

● მამაკაცებისთვის: პოტენციის დაქვეითება, პროსტატიტი, ადენომა და მისგან გამოწვეული პრობლემები (გახშირებული და უნებლიე შარდვა, სუსტი და გაორებული ნაკადი, შეკავება-შეუკავებლობა), ბაქტერიული და სოკოვანი ინფექციები (წვა, ქავილი, ტკივილი). პრობლემების მოგვარება გვერდითი მოვლენების გარეშე გარანტიით. ტელ: 599 25 44 14; 593 44 58 65. მის: აღმაშენებლის №154.

● მამაკაცებისთვის: სქესობრივი უძლურების, შარდსასქესო სისტემის ფუნქციათა მოწესრიგება, პროსტატის ჯირკვლის, ადენომის ზრდის შეჩერება-უკუსვლა-ნორ მალიზება, პოტენციის აწევა, შარდის შეკავება-შეუკავებლობის, წვის, ტკივილის, ქავილის, გაორებული, წყვეტილი და უნებლიე შარდვის (ბავშვებშიც!) აღმოფხვრა, ქრონიკული სოკოვანი, ბაქტერიული, ვირიული ინფექციებისგან გაწმენდა, რეპროდუქციული ფუნქციების აღდგენა-შენარჩუნება სწრაფი კვლევებით. ტელ: 577-29-37-41 ან 234-02-38.

● ძვალ-სახსართა პრობლემების მოგვარება: კოქსართროზით, ოსტეოპოროზით, ოსტეოართროზით, პოდაგრით, სპონდილოზით და სხვა გამოწვეული დაზიანებული ხრტილის, გაცვეთილი ძვლის სტრუქტურის აღდგენა. სითხის დაბალანსება სახსარში, ტკივილების, შებოჭილობის, დაბუჟების, კრუნჩხვების მოხსნა, გაჯანსაღება საოპერაციო და უშედეგოდ ნაოპერაციები სახსრების 100%-ით ეკობიოპრეპარატებით, წონის კორექციით, ქოლესტერინისგან გაწმენდით, მრავალწლიანი გამოცდილებით. ტელ: 599-91-37-65 ან 247-58-83.

● ალკოჰოლისა და ნარკოტიკებისადმი დამოკიდებულების სწრაფი მოხსნა – რეალური გამოსავალი!!! ნევროზის, დეპრესიის, შიშების, უძილობის, აკვიატებული აზრების, აგრესიის, „თეთრი ცხელების“, ძილის პროცესების დარღვევის, მეხსიერების დაბინდვა-დაქვეითების მოწესრიგება გონებრივი შესაძლებლობების აღდგენით, ღვიძლისა და სისხლის გაწმენდა (დეტოქსიკაცია) საჭირო კვლევებით. ტელ: 599-72-21-38.

ახალგაზრდული ნაკრები ევროპისთვის ემზადება

ხვალ ევროპის ახალგაზრდული ჩემპიონატი იწყება, რომლის ერთ-ერთი თანამასპინძელი საქართველოც არის. ორი ჯგუფის მატჩებს თბილისი, ქუთაისი და ბათუმი უმასპინძლებს, ხოლო ორ ჯგუფს – რუმინეთი. ფინალი 8 ივლისს ბათუმში გაიმართება.

ჩვენი ახალგაზრდული ნაკრები ევროპის ჩემპიონატისთვის მზადებას საგურამოში, თბილისის ლოკომოტივის ბაზაზე განაგრძობს, სადაც საწვრთნელმა პროცესმა არასრული შემადგენლობით ჩაიარა.

რამაზ სვანაძეს გამოძახებული რამდენიმე ისეთი ფეხბურთელი ჰყავს, რომელიც ეროვნული გუნდის შემადგენლობაშია და დღეს, გლაზგოში, შოტლანდიას ეთამაშება. შესაბამისად, ის ფეხბურთელები გუნდს მეორე ტურიდან შეუერთდებიან.

ჩვენი გუნდის სრული შემადგენლობა ასეთია:

მეკარეები: გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლუკა კუტალაძე (დინამო თბ), ნოდარ ყალიჩავა (სამგურალი);

მცველები: ცოტნე კაპანაძე, ივა გელაშვილი, ჯემალ-გიორგი ჯინჯოლავა (ყველა საბურთალო), გიორგი გოჩოლეიშვილი (შახტარი, უკრაინა), სანდრო კალანდაძე, საბა ხვადაგიანი (ორივე დინამო თბ), ირაკლი აზაროვი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), საბა საზონოვი (დინამო, რუსეთი);

ნახევარმცველები: ოთარ მამაგეიშვილი (საბურთალო), ნიკა გაგნიძე (დილა), გიორგი წიტაიშვილი (ლეხი, პოლონეთი), ნიკა ხორხელი, ნოდარ ლომინაძე (ორივე სამგურალი), გაბრიელ სიგუა, გიორგი მოისწრაფიშვილი, ანზორ მექვაბიშვილი (ყველა დინამო თბ), ლუკა გაგნიძე (დინამო, რუსეთი), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი);

თავდამსხმელები: გიორგი გულიაშვილი (სარაევო, ბოსნია და ჰერცეგოვინა), გიორგი გაგუა (უნიონი, ესპანეთი).

მსოფლიო თასის მზადება დაიწყო

დღეს 37 ბორჯღალოსანი „შევარდენის“ ბაზაზე შევიდა და 2023 წლის მსოფლიო თასისთვის მზადებას შეუდგება. კიდევ ორი მორაგბე – თორნიკე კახოიძე და ლუკა ხორბალაძე გუნდს მსოფლიო რაგბის 20-წლამდელთა ჩემპიონატის დასრულების შემდეგ შეუერთდებიან.

სამწვრთნელო შტაბის გადაწყვეტილებით, წვრთნას კონკრეტულად ის მორაგბეები გაივლიან, რომლებიდანაც საფრანგეთში წამსვლელი 33 შეირჩევა.

ლევან მაისაშვილი:

– 2019 წლის მსოფლიო თასისთვის მოსამზადებელი ეტაპის გამოცდილებიდან და დაკვირვებიდან გამომდინარე, წელს მიდგომა შევცვალეთ. რადგან მოსამზადებლად არც ისე ბევრი დრო გვაქვს, მივედით დასკვნამდე, რომ მზადება მაქსიმალურად ოპტიმალური, მოქნილი ჯგუფით დაგვეწყო და არა 50-კაციანი გაფართოებული რაზმით. ეს არ არის სასელექციო შეკრება. ვემზადებით უშუალოდ მსოფლიო თასისთვის და არჩევანიც აქედან გამომდინარე გავაკეთეთ. ბოლო ერთი წლის განმავლობაში სელექციისა და დაკვირვებისთვის საკმარისი დრო გვქონდა, მათ შორის, შავი ლომის ბოლო აქტივობაზე. გვყავს რეზერვის მოთამაშეები და თუ ძირითადი ჯგუფიდან რომელიმე მოთამაშეს ჯანმრთელობის პრობლემა შეექმნება, მათი ჩანაცვლება მოხდება. რეზერვის მოთამაშეები სპეციალური პროგრამით, ინდივიდუალურად ივარჯიშებენ. ისინი პროფესიონალები არიან და თავად არიან პასუხისმგებელი ფიზიკურ კონდიციაზე. სარეზერვო ჯგუფში არიან 20 წლამდე ნაკრების მოთამაშეები. ეროვნული და ახალგაზრდული ნაკრებები იდენტური სისტემით ემზადებიან და მარტივად ხდება მათი ინტეგრირება კაცთა ნაკრებში. სარეზერვო მოთამაშეები არიან შავ ლომშიც, რომელიც მოგვიანებით იწყებს ახალი სეზონისთვის მზადებას.

მოთამაშეთა ნაწილი გუნდთან ერთად შეკრებაზე პირველივე დღიდან იქნება, მაგრამ საწვრთნელ პროცესში აქტიურად ჯერ ვერ ჩაერთვება.

ტოპ 14-ის რამდენიმე მოთამაშეს დასვენება სჭირდება. ბექა საღინაძეს და გურამ გოგიჩაშვილს სეზონის განმავლობაში ბევრი თამაში მოუწიათ. მცირე ტრავმა აქვს ბექა გიგაშვილს. ოპერაციის შემდეგ რეაბილიტაციას გადიან დავით ნინიაშვილი და გიორგი კვესელაძე, ასევე ლუკა ჯაფარიძე, რომელიც ტრავმიდან ახალი დაბრუნებულია. ისინი ჩვენთან ერ-

გაგრძელება მე-7 გვერდზე

ცხრა შვილიშვილის ბებიამ 200 ათასი დოლარი მოიგო

ამერიკის ჩრდილოეთ კაროლინას შტატის მცხოვრებმა, ცხრა შვილიშვილის ბებიამ ლატარიის ბილეთი იყიდა და გამდიდრდა. ტრინა კოტონი ყოველთვის ყიდულობდა ლატარიის ბილეთებს და ამას ერთსა და იმავე მაღაზიაში აკეთებდა. სილამაზის სალონში მორიგი ვიზიტის შემდეგ, ქალი სახლისკენ გაემართა, მაგრამ უცბად მიხვდა, რომ რაღაც დაავიწყდა.

– სალონის მოპირდაპირე მხარეს მაღაზია იყო, მაგრამ შევტრიალდი და 32 კილომეტრი გავიარე იმ მაღაზიამდე, სადაც ჩვეულებრივ ვყიდულობდი ლატარიის ბილეთებს. მე მივენდე ხმას, რომელიც თავში ჩამესმოდა და მეუბნებოდა, რომ ჩემს მაღაზიაში დავბრუნებულიყავი, – განაცხადა ქალმა. საბოლოოდ კი აღმოჩნდა, რომ სწორედ ეს ხმა დაეხმარა მას გამდიდრებაში.

ქალმა ლატარიის ბილეთი ხუთ დოლარად შეიძინა. სახლში მისულმა მასზე დამცავი ფენა გადაფხიკა და აღმოაჩინა, რომ მისმა მოგებამ 200 ათასი დოლარი შეადგინა.

– თავიდან ვფიქრობდი, „ნუთუ ეს სიმართლეა“. სათვალე გავიკეთე, რათა დავრწმუნებულიყავი, რომ ეს ყველაფერი სიმართლე იყო, – განაცხადა ცხრა შვილიშვილის ბებიამ.

ქალი მოგებული თანხით თავისი ოჯახისთვის კომფორტული ცხოვრების უზრუნველყოფას გეგმავს.

ძარცვა ძვირფასი საათების მაღაზიაში

იაპონიის ქალაქ კავასაკიში რესტორნის თანამშრომელმა მძარცველის დასაკავებლად დენის დამაგრძელებელი გამოიყენა.

დღისით ორი მამაკაცი, რომელთაგან ერთ-ერთს მოთხილამურის ნიღაბი ეკეთა სახეზე, ძვირფასი საათების მაღაზიაში შევარდა და საქონლის გასატაცებლად ვიტრინების დალეწვა დაიწყეს. მაღაზიის მმართველი მძარცველებს ყვირილით გაეკიდა. მისმა ყვირილმა ინდიელის ყურადღება მიიპყრო, რომელიც იმავე ქუჩაზე მდებარე რესტორანში მუშაობდა. ის ქუჩაში გამოვიდა იმის სანახავად, თუ რა ხდებოდა.

როდესაც მან მისი მიმართულებით მორბენალი მძარცველი შენიშნა, სწრაფად შეიარაღდა დენის დამაგრძელებლით და მძარცველს ქამანდივით გადააცვა. შედეგად ბოროტმოქმედი წაფორხილდა და დაეცა, ამან კი მაღაზიის მმართველს მისი დაწევისა და დაკავების საშუალება მისცა. მას სხვა გამვლელებიც დაეხმარნენ. საბოლოოდ, პოლიციამ დამნაშავე დააკავა, თუმცა, მისმა თანამზრახველმა მიმალვა მოახერხა.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

შვიდქალა ნაკრები მეოთხე ადგილს დასჯერდა

საქართველოს 7-ქალამ რაგბი ევროპის ალაფის პირველი ეტაპი მეოთხე ადგილზე დაასრულა და საკუთარი მიღწევა გაიმეორა. ჩვენმა გუნდმა ერთადერთხელ, 2014 წელს დაიკავა მეორე დივიზიონში მეოთხე ადგილი.

ზაგრების ეტაპის პირველ სათამაშო დღეს გოგონებმა ორივე თამაში მოიგეს. პირველი მეტოქე ბულგარეთი იყო და საწყის 4 წუთში მანონი საღარაძემ სამი ლელო გაიტანა. მეტოქემ ერთი გარდასახული ლელოს გაქვითა შეძლო, რაზეც მარიამ გოგუაძემ შესვენებამდე მეოთხე ლელოთი უპასუხა და თეონა ჩიტაიშვილმა გარდასახა. მეორე ტაიმში საქართველომ კიდევ სამი უპასუხო ლელო გაიტანა. თავი ნათია გავაშელიშვილმა, ანა დათიაშვილმა და ლიკა ხუფენიამ გამოიჩინეს – 43:7.

მეორე თამაში ავსტრიასთან გვქონდა და მეტოქემ დიდი წინააღმდეგობა გაგვიწია. შეხვედრის მიწურულს მარიამ გოგუაძემ შეძლო ფრთაზე გაქცევა და ლელოთი წონასწორობის აღდგენა, სალომე საღარაძემ კი, არცთუ იოლი პოზიციიდან გამარჯვების მომტანი გარდასახვა შეასრულა – 7:5.

საქართველომ უნგრეთთან ერთად პირველივე დღეს გაინაღდა თასის მეოთხედფინალში თამაში და უნგრეთთან მხოლოდ ის ირკვეოდა, ვინ დაიკავებდა პირველ და ვინ მეორე ადგილს. ანგარიში კარგი კომბინაციის შემდეგ ირმა გულიაშვილმა გახსნა, რომელიც მცველს ერთი-ერთზე გაექცა და გარდასახვაც ზუსტი იყო. უნგრეთმა საპასუხო ლელო მალევე გაიტანა, მაგრამ გარდასახვა არაზუსტი იყო.

მეორე ტაიმში უნგრეთმა ჩვენი შეცდომით ისარგებლა და დაწინაურდა. პასუხად ლიკა ხუფენიამ გაჭრა ხაზი და ლელოში მარიამ გოგუაძე შეუშვა, მერე კი მას ასისტენტობა მანონი საღარაძემ გაუწია. მატჩის მიწურულს მეტოქემაც შეძლო მესამე ლელოს გატანა და მატჩი ფრედ, 17:17 დასრულდა.

საქართველო მეოთხედფინალში მეორე ადგილით გავიდა და მეტოქედ ლატვია ერგო. უქულოდ დასრულებული პირველი ტაიმის შემდეგ, მანონი საღარაძემ ჩვენს ნახევარზე დანიშნული შერკინებიდან შეუტია და 60-მეტრიანი რეიდი ლელოთი დაასრულა, რასაც გარდასახვაც მიაყოლა. საფინალო სასტვენამდე ორი წუთით ადრე მანვე დუბლი შეასრულა, ბოლოს მეტოქემაც შეძლო ერთ ლელოს გატანა და საქართველომ 12:5 გაიმარჯვა, რითიც ისტორიული შედეგი გაიმეორა და თასის ნახევარფინალში გავიდა.

სამწუხაროდ, ფინალური დღე გოგონებისთვის წარუმატებელი აღმოჩნდა. თასის ნახევარფინალში ჯაბა მალაღურაძის შეგირდები მომავალ ჩემპიონ უკრაინასთან 0:21 ჩამორჩნენ. მეორე ტაიმში მანონი საღარაძემ და მარიამ გოგუაძემ ლელოებით ჩამორჩენა შეამცირეს, მაგრამ გარდასახვები არაზუსტი იყო, მატჩის გადარჩენის შანსი აღარ შეგვრჩა და ბოლოს უკრაინელებმა ერთი ლელოც მიითვალეს – 10:28.

მესამე ადგილისთვის ფინეთს შევხვდით და აქაც ჩამოვრჩით. ტაიმის ბოლოს მანონი საღარაძემ ლელოთი სხვაობა 9 ქულამდე დაიყვანა. მეორე ტაიმის შუაში ლელო სალომე მაკასარაშვილმა მიითვალა. გარდასახვა ახლაც არაზუსტი იყო, თამაში რომ განახლდა, ფინეთმა მესამე ლელო გაიტანა და 19:10 გაიმარჯვა.

ფინალში უკრაინამ თურქეთი 17:5 დაამარცხა.

რაგბი ევროპის ალაფის მეორე ეტაპს 7-8 ივლისს ბუდაპეშტი (უნგრეთი) უმასპინძლებს.

ხვიჩა კვარაცხელია: „შოტლანდიაში მოსაგებად ჩამოვედით"

საქართველოს ნაკრები კვიპროსიდან შოტლანდიაში ჩავიდა. გლაზგოში ჩვენი გუნდი ევრო 2024-ის საკვალიფიკაციო ეტაპის მესამე შეხვედრას ჯგუფის ლიდერის, შოტლანდიის წინააღმდეგ გამართავს.

ვილი სანოილის გუნდი შოტლანდიაში 25 ფეხბურთელის შემადგენლობით იმყოფება. გუშინ ჩვენმა გუნდმა მატჩის მასპინძელ ჰემპდენ პარკზე ივარჯიშა.

შოტლანდია 9 ქულით ჯგუფის ლიდერია, საქართველოს კი 4 ქულა აქვს და მეორეა. შოტლანდიური მედია ჩვენს გუნდს უფრთხის. მიუხედავად იმისა, რომ ნორვეგიაში გამარჯვების შემდეგ, შოტლანდია ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპს მიუახლოვდა, სანიოლის გუნდთან თამაშში სიფრთხილისკენ მოუწოდებენ, რადგან კიდევ ერთი ნაბიჯი სწორედ საქართველოს ნაკრებთან უნდა გადადგან.

სქოთები განსაკუთრებით უფრთხიან ხვიჩა კვარაცხელიასა და გიორგი მიქაუტაძეს, მაგრამ არ ივიწყებენ სხვა ფეხბურთელებსაც და აღნიშნავენ, რომ მათ გარდა კიდევ რამდენიმე ტალანტი ჰყავთ. მეტიც, იქაური ჟურნალისტები თვლიან, რომ საქართველო ჯგუფის ამოუცნობი გუნდია და შოტლანდიის შოკში ჩაგდება შეუძლიათ.

ხვიჩა კვარაცხელია:

– გოლების გატანის თვალსაზრისით, წარუმატებელი პერიოდი მაქვს. ვფიქრობ, ცუდად არ ვთამაშობდი – უბრალოდ, არ გამიმართლა. ნაპოლიში გრძელი და ძალიან მძიმე სეზონი მქონდა. უამრავ მატჩში მივიღე მონაწილეობა და უნდა ვაღიარო, რომ დავიღალე. მიუხედავად ყველაფრისა, ვფიქრობ, რომ შოტლანდიაში გოლის გატანას შევძლებ.

კვიპროსში გამარჯვება ჩვენთვის ძალიან მნიშვნელოვანი იყო. ახლა გლაზგოში მხოლოდ ერთი მიზნით ჩამოვედით და ეს გამარჯვებაა. მნიშვნელობა არ აქვს, გოლს ვინ გაიტანს. მთავარია, რომ შინ 3 ქულით დავბრუნდეთ. კვიპროსთან მიქაუტაძემ და დავითაშვილმა გაიტანეს და დასახულ მიზანს მივაღწიეთ.

საქართველოს ნაკრები შოტლანდიაში ასეთი შემადგენლობით ჩავიდა.

მეკარე: გიორგი ლორია (ანორთოსისი, კვიპროსი), გიორგი მამარდაშვილი (ვალენსია, ესპანეთი), ლუკა გუგეშაშვილი (ყარაბაღი, აზერბაიჯანი);

დაცვა: გურამ კაშია (სლოვანი, სლოვაკეთი), სოლომონ კვერკველია (ნეფთჩი, აზერბაიჯანი), ოთარ კაკაბაძე (კრაკოვი, პოლონეთი), ლუკა ლოჩოშვილი (კრემონეზე, იტალია), გიორგი გველესიანი (პერსეპოლისი, ირანი), ლაშა დვალი (აპოელი, კვიპროსი), ჯიმი ტაბიძე (დინამო თბ), ირაკლი აზაროვი (ცრვენა ზვეზდა, სერბეთი), გიორგი გოჩოლეიშვილი (შახტარი, უკრაინა);

ნახევარდაცვა: ნიკა კვეკვესკირი (ლეხი, პოლონეთი) ოთარ კიტეიშვილი (შტურმი, ავსტრია), ვლადიმერ მამუჩაშვილი, სანდრო ალთუნაშვილი (ორივე დინამო ბთ), ლევან შენგელია (პანეთოლიკოსი, საბერძნეთი), ლუკა გაგნიძე (დინამო, რუსეთი), საბა ლობჟანიძე (ქარაგუმრუქი, თურქეთი), გიორგი ჩაკვეტაძე (სლოვანი, სლოვაკეთი), ზურიკო დავითაშვილი (ბორდო, საფრანგეთი);

თავდასხმა: გიორგი მიქაუტაძე (მეცი, საფრანგეთი), ხვიჩა კვარაცხელია (ნაპოლი, იტალია), ბუდუ ზივზივაძე (კარლსრუე, გერმანია), გიორგი ქვილითაია (აპოელი, კვიპროსი).

შოტლანდია-საქართველოს მატჩი 22:45 საათზე დაიწყება.

მსოფლიო თასის მზადება დაიწყო

39 მორაგბიდან, რომლებიც მსოფლიო თასისთვის მოემზადებიან, 22 მორკინალი, 17 ხაზის მოთამაშეა. გუნდში 18 მორაგბე შავი ლომიდანაა, 21 კი – ლეგიონერია. 19 წლის ლუკა ხორბალაძე ერთადერთია, რომელსაც ეროვნულის კვართით ჯერ არ უთამაშია.

– დეტალურად გვაქვს გაწერილი თითოეული დღე. ვარჯიშები იქნება კომბინირებული და არც ერთი დღე რაგბის ელემენტების გარეშე არ ჩაივლის. ნებისმიერი ფიზმომზადების ვარჯიში გაჯერებული იქნება სარაგბო ელემენტებით. საწყის ორ ეტაპს „შევარდენზე" გავივლით, რის შემდეგაც გვექნება ორკვირიანი შეკრება უცხოეთში. ორი ვარიანტია და საბოლოო არჩევანი ჯერ არ გაგვიკეთებია. შინ დაბრუნებულებს ორი საკონტროლო თამაში გველის თბილისში, რის შემდეგაც ედინბურგში გავემგზავრებით, შოტლანდიასთან მატჩის შემდეგ კი, ლაროშელში ჩავალთ.

შეგახსენებთ, მსოფლიო თასზე საქართველო გ ჯგუფში, ავსტრალიასთან, უელსთან, ფიჯისა და პორტუგალიასთან ითამაშებს. მაისაშვილის თქმით, პროგრამა მინიმუმი ორი თამაშის მოგებაა, თუმცა გუნდი ოთხივე მეტოქესთან გამარჯვებისთვის იბრძოლებს.

– ავსტრალიას და ფიჯის მსოფლიო თასამდე ტურნირები ელით და მათი თამაშის ხილვის შესაძლებლობა გვექნება. ედი ჯონსის ფილოსოფია ყველასათვის ცნობილია და სიახლე არ იქნება, რასაც ყურადღებას მიაქცევს. ვიცით, რა სტილის რაგბს თამაშობენ ფიჯი და უელსი, პორტუგალია კი ყველაზე კარგად ნაცნობი მეტოქეა. მათთვის ჩვენ ამ მსოფლიოზე ერთადერთი სამიზნე ვიქნებით და მარტივი თამაში არც ერთი იქნება. პროგრამა მინიმუმი ორი შეხვედრის მოგებაა, თუმცა ოთხივე მეტოქესთან გამარჯვებისთვის ვიბრძოლებთ. ამბიციური გეგმა გვაქვს და გამორიცხული არაფერი იქნება.

2023 წლის მსოფლიო თასისთვის მოემზადებიან:

შერკინება: ნიკა აბულაძე, გურამ გოგიჩაშვილი, მიხეილ ნარიაშვილი, შალვა მამუკაშვილი, გიორგი ჭყოიძე, თენგიზ ზამთარაძე, ლუკა ნიორაძე, ბექა გიგაშვილი, გურამ პაპიძე, ლუკა ჯაფარიძე, კოტე მიქაუტაძე, ნოდარ ჭეიშვილი, ლაშა ჯაიანი, ლადო ჩაჩანიძე, მიხეილ ბაბუნაშვილი, ბექა საღინაძე, ბექა გორგაძე, გიორგი ცუცქირიძე, თორნიკე ჯალაღონია, ოთარ გიორგაძე, მიხეილ გაჩეჩილაძე და ლუკა ივანიშვილი;

ხაზი: ვასილ ლობჟანიძე, გელა აფრასიძე, თენგიზ პერანიძე, მიხეილ ალანია, თედო აბჟანდაძე, ლუკა მატკავა, მერაბ შარიქაძე, თორნიკე კახოიძე, დემურ თაფლაძე, გიორგი კვესელაძე, აკაკი ტაბუცაძე, ალექსანდრე თოდუა, მირიან მოდებაძე, ოთარ ლაშხი, დავით ნინიაშვილი, ლაშა ხმალაძე და ლუკა ხორბალაძე.

მსოფლიო თასი საფრანგეთში 10 სექტემბრიდან 28 ოქტომბრის ჩათვლით გაიმართება.

შენგელიას ვირტუსმა სერია გაათანაბრა

დაძაბულ, დრამატულ, 2-ოვერტაიმიან ბრძოლაში თორნიკე შენგელიას ვირტუსმა მილანის ოლიმპიას მეორე საშინაო მატჩიც მოუგო და ფინალურ სერიაში ანგარიში გაათანაბრა – 2:2. საჩემპიონო სერია მილანელებმა 2 საშინაო მოგებით დაიწყეს, თუმცა შემდეგ 2 გასვლითი მატჩი დათმეს და ყველაფერი ახლიდან იწყება. თანაც, იტალიის სერია ა-ში ფინალური სერია 4 მოგებამდე გრძელდება და ჯერ ყველაფერი წინაა.

სერიის მე-4 მატჩში დიდი ბრძოლა გაჩაღდა. ბოლო მეოთხედის სტარტზე ბოლონიელები 18 ქულით დაწინაურდნენ (67:49) და თითქოს ყველაფერი გარკვეული იყო, მაგრამ მილანელებმა საოცარი სპურტი მოაწყვეს და მატჩის ოვერტაიმში გადაყვანა მოახერხეს – 76:76.

გამარჯვებულის გამოვლენა ვერც პირველ დამატებით ხუთწუთიანში მოხერხდა, მე-2 ოვერტაიმის ბოლოსკენ კი მაინც ვირტუსმა იმარჯვა და საბოლოოდ, 93:89 მოიგო.

საქართველოს ნაკრების კაპიტანი ტრადიციულად სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა და 37 წუთში 9 ქულა, 4 მოხსნა, 5 პასი, 2 ჩაჭრა და 1 დაფარება მიითვალა. შენგელიამ 9-დან 2 ორქულიანი, 3-დან 1 სამქულიანი და 6-დან 2 საჯარიმო ჩააგდო, ბურთი 2-ჯერ დაკარგა, ერთხელ დაუფარეს, 2 პერსონალური ფოლი მიიღო, მის წინააღმდეგ კი 5-ჯერ დაჯარიმდნენ.

ვირტუსს 18-18 ქულით მარკო ბელინელიმა და ჯორდან მიკიმ ულიდერეს, ხოლო მილანის რიგებში საუკეთესო შევონ შილდსი იყო 26 ქულით.

ახლა სერია ისევ მილანში გადაინაცვლებს...

მოამზადა მიხეილ ჟორჟოლიანმა

შემდეგები

18 ივნისი
ფეხბურთი
ეროვნული ლიგა. ა დივიზიონი
ფინალი

ხორვატია-ესპანეთი ..... 0:0(4:5პ)

მესამე ადგილისთვის

ნიდერლანდები-იტალია 2:3

ალფიჯის ეროვნული თასი

რუანდა-მოზამბიკი 0:2
ტანზანია-ნიგერი 1:0
მადაგასკარი-განა 0:0
უგანდა-ალჟირი 1:2
ესვანტინი-ტოგო 0:2
კაპო ვერდე-ბურკინა ფასო 3:1
კონგო-მალი 0:2
სიერა ლეონე-ნიგერია 2:3
გაბონი-დრ.კონგო 0:2

სამგლოვიარო და მისალოცი განცხადებები მიიღება
ტელ.: 599-532-690 – 12-დან 17 საათამდე

ჯოსვოიდი ბ



შვეულად: 1. ობობას ძველებური სახელწოდება; 2. ებრაელთა მოყვარული ადამიანი; 3. გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ერთ-ერთი ოფიციალური სამუშაო ენა; 5. გერმანელი ექიმი, თეოლოგი, მისიონერი, მუსიკათმცოდნე, ნობელის პრემიის ლაურეატი; 7. უტიფარი, მოურიდებელი, ურცხვი ადამიანი; 9. ელჩის გამოწვევა სახელმწიფოდან; 13. ირლანდიის დედაქალაქი; 15. მთა თბილისში; 16. პოლიგრაფიული საწარმო; 18. ქიშმიშის ძველი ქართული სახელწოდება.

თარაზულად: 4. მრგვალად, უწახნაგოდ დამუშავებული ძვირფასი ქვა; 6. იტალიელი არქიტექტორი, მშრალი ხიდის პროექტის ავტორი; 8. ქიზიყის ძველი სახელწოდება; 10. ბრილიანტის თითოეული გვერდი; 11. პროვინციის მმართველი თურქეთში; 12. ცხარე საწებელი; 14. სიყვარულის ღვთაება რომაულ მითოლოგიაში; 17. ქართული საქველმოქმედო ორგანიზაცია; 19. ქეიფი, დროსტარება; 20. გონებასუსტი ადამიანი; 21. მიწის ფართობის საზომი ერთეული აშშ-ში; 22. საქართველოს ფეხბურთელთა გუნდი; 23. პატარა სამკუთხა ალამი.

შეადგინა თ.გოგინაშვილმა

წინა ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდების პასუხები:

კროსვორდი ა

შვეულად: 1. ორლი; 2. ნუჟრი; 3. იანძი; 4. ჯილდა; 5. ვადუცი; 6. თრიალეთი; 8. მანჯგალაძე; 10. კრიმანჭული; 11. სამეგრელო; 14. შტირია; 15. ფაზისი; 16. ოჰარა.

თარაზულად: 1. ოწინარი; 4. ჯავახეთი; 7. ლიეჟი; 9. ჭინკა; 12. მინდია; 13. გნომა; 14. შურთხი; 17. პლევრა; 18. ილუმინატორი; 19. ბენთოსი; 20. ჰაშიში.

კროსვორდი ბ

შვეულად: 1. ბაზიერი; 2. მარიჯანი; 3. დვალეთი; 5. გეორგიკა; 7. ფინდელი; 9. სამტრედია; 13. სისტოლა; 15. არწივი; 16. მაღალი; 18. ომალო.

თარაზულად: 4. ჰალოგენი; 6. კრასნოვი; 8. მიტროპოლიტი; 10. პოდესტა; 11. მითი; 12. ალგეთი; 14. მარკა; 17. ვერდი; 19. ეწერი; 20. ჯაბახანა; 21. არგო; 22. ლიმნოლოგი; 23. სორბონა.

ახალი თაობა

akhalitaoba.ge

20 ივნისი

ქართული ლარის მიმართ უცხოური ვალუტების გაცვლითი კურსი

აშშ დოლარი — 2.6057

ევრო — 2.8446

დიდი ბრიტანეთის გირვანქა სტერლინგი — 3.3376

100 რუსული რუბლი — 3.1006

ამინდის პროგნოზი 20 ივნისისათვის

ეროვნული ბიბლიოთეკა

პსჟ-ს მწვრთნელი ლუის ენრიკე გახდება

ფრანგული პსჟ-ს ახალი მთავარი მწვრთნელი ლუის ენრიკე იქნება, რომელიც დეკემბრის შემდეგ სამსახურის გარეშე იყო და პარიზული გუნდი მასთან მოლაპარაკებას საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე აწარმოებდა. გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ლუის ენრიკე პსჟ-სთან 3-წლიან კონტრაქტს გააფორმებს და მისი წარდგენა მაყურებლის წინაშე უახლოეს მომავალში მოხდება.

ჯუდ ბელინგემი: „რეალი უდიდესი გუნდია“

მადრიდის რეალის ახალწვეულმა ჯუდ ბელინგემმა თავის ახალ კლუბზე ისაუბრა და თქვა, რომ მას კარგად ესმის, თუ სად მოხვდა და იმედი აქვს, რომ გულშემატკივრის მოლოდინს ბოლომდე გაამართლებს: „კარგად ვიცი, თუ სად მოხვდი და ვიცი, რომ ჩემგან ბევრს ელიან, ამიტომ შევეცდები, პირველივე მატჩებიდან ვაჩვენო, თუ რა შემიძლია. რეალში ყველაფერია იმისთვის, რომ წარმატებას მიაღწიო და კარგი შედეგი აჩვენო“.

მბაპე: „საბოლოო გადაწყვეტილებას მომავალ ზაფხულში მივიღებ“

პსჟ-ს ფორვარდმა კილიან მბაპემ თავის მომავალზე ისაუბრა და თქვა, რომ ის საბოლოო გადაწყვეტილებას მომავალ ზაფხულში მიიღებს და არ გამორიცხავს, რომ პსჟ-სთან ახალი კონტრაქტიც გააფორმოს: „მედიაში გავრცელებული ინფორმაცია სიმართლეს არ შეესაბამება და ჯერ ჩემს მომავალთან დაკავშირებით საბოლოო გადაწყვეტილება არ მიმიღია. შეიძლება პსჟ-ში დავრჩე, თუმცა დანამდვილებით ვერაფერს ვიტყვი“.

მოამზადა ბექა გოგინაშვილმა

იუმორი

კამათის შემდეგ ცოლი ქმარს ეუბნება:

– მართალი არ ხარ!

– რატომ?

– მაგაზე ჯერ არ მიფიქრია...

•••

ბიჭი გოგოს ეკითხება:

– რა გატირებს, საყვარელო, რა მოხდა?

– ჩემი მშობლები ჩვენი ქორწილის წინააღმდეგი არიან.

– მერე, მაგის გამო ტირი, ჩემო სულელო? შენ არ ინერვიულო, სხვა საცოლეს მოვნახავ.

•••

ქორწილის პირველ ღამეს ქმარი ახლად შერთულ ცოლს ეუბნება:

– ძვირფასო, მივხვდი, რომ მე შენთვის პირველი მამაკაცი არ ვარ...

– ჰო... მე კი მივხვდი, რომ არც უკანასკნელი იქნები!

•••

დედა ერთი წლის შვილს ეთამაშება და თან ხმამაღლა ამბობს:

– როგორ გიმართლებს: დაიძინე, გაიღვიძე, შეჭამე, ითამაშე, გაერთე, მოისაქმე და ისევ დაიძინე...

ამ დროს ქმარმა ტუალეტიდან გამოსძახა:

– ამის სრული უფლება მაქვს, დღეს დასვენების დღე მაქვს!

•••

ქალი და მამაკაცი საუბრობენ. ქალი ეკითხება:

– სულ ასეთი სერიოზული ხარ? იქნებ რაიმე სასაცილო მოგეყოლა?

– არ მინდა, გაცნობა ჩემს ხელფასზე საუბრით დავიწყო.

მოამზადა კახა ხატიაშვილმა

ელგა ფორჩხიძემ ირანის დედოფლისთვის იმღერა

ქართველმა მომღერალმა ელგა ფორჩხიძემ პარიზში ირანის დედოფლის ფარაჰ ფეჰლევისადმი მიძღვნილ დახურულ გამოფენაზე იმღერა:

– მქონდა პატივი მემღერა მისი უდიდებულესობის, ირანის ყველაზე გამორჩეული დედოფლის ფარაჰ ფეჰლევისადმი მიძღვნილ, დახურულ გამოფენაზე პარიზში, საერთაშორისო ხელოვნების ცენტრში. გამოფენის ორგანიზატორი ირანელი უდიდესი მხატვარი ვანეშა რუდბარაკია. მადლობა მას მიწვევისათვის.

სამეფო ოჯახისათვის ასევე 2 ცეკვა შეასრულა წმინდა თამარ მეფის სახელობის ტაძართან არსებულმა ცეკვის ანსამბლმა „თამარიონნი“.

მიშა ჭიაურელი 80 წლის გახდა

კინორეჟისორი და სცენარისტი მიშა ჭიაურელი 80 წლის გახდა. ასაკის მიუხედავად, იგი კვლავ აქტიურად იღებს ფილმებს. რეჟისორი უკრაინასაც სტუმრობდა, სადაც საკუთარი ფილმისთვის გადაღებებს აწარმოებდა.

მიშა ჭიაურელმა მთელი თავისი ცხოვრება კინოს მიუძღვნა. იგი სცენარის ავტორი და დამდგმელი რეჟისორია არაერთი ფილმისა: „სიყვარული ყველას უნდა“, „ჭიდაობას რა უნდა“, „მე, პელეს ნათლია!“, „სოფიკო“... მისი დოკუმენტური ფილმი „უბედურების ზონა, ანუ არაჩვეულებრივი ფაშიზმი“ პირველი ქართული სატელევიზიო ფესტივალ „მანას“ პრიზიორია საუკეთესო ფილმისთვის.

მიშა ჭიაურელი წლების განმავლობაში საქართველოს ტელერადიო კომიტეტში რეჟისორის ასისტენტად და საქართველოს კინოსტუდიის რეჟისორად მუშაობდა.

იუბილარმა რეჟისორმა წიგნი „ჩემი ცხოვრების აბლაბუდაში“ დაწერა. მან მიიღო ღირსების მედალი საქართველოში დემოკრატიის მშენებლობის, სტაბილიზაციის განმტკიცებისა და ახალი ეკონომიკური რეფორმების განხორციელების საქმეში შეტანილი წვლილისთვის. მიშა ჭიაურელი სახელმწიფო პრემიისა და ზურაბ ანჯაფარიძის საერთაშორისო პრემიის ოქროს მედლის მფლობელია.

თამაზ ორაშვილი ეროვნული კინოცენტრის მუშაობით უკმაყოფილოა

პროდიუსერი თამაზ ორაშვილი საქართველოს ეროვნული კინოცენტრის მუშაობით უკმაყოფილოა. ამის მიზეზი ყოველწლიურად კონკურსებში მონაწილეობისას უარის მიღებაა:

– საქართველოს ეროვნულ კინოცენტრში არაერთ კონკურსში მიმიღია მონაწილეობა, თითქმის ყოველ წელს, თუმცა შედეგი ყოველთვის ნული გვქონდა. ერთადერთი კონკურსი მოვიგეთ, ისიც გიორგი შენგელაიას მოკლემეტრაჟიანი ფილმისთვის. გიორგი შენგელაიას არ უთხრეს უარი. იცით რამდენი იყო დაფინანსება? 35.000 ლარი, პლუს გიორგი შენგელაიამ 14.000 ლარი თანადაფინანსებისთვის თავისი დანაზოგით გადაიხადა.

თქვენ წარმოიდგინეთ, დღესაც მაგ ვალებს ვისტუმრებ.

გაგა ჩხეიძე ჭორების საფუძველზე ცილისწამებას აპროტესტებს

თბილისის საერთაშორისო კინოფესტივალის დამაარსებელი გაგა ჩხეიძე კულტურის მინისტრს ურჩევს, უკეთესი ინფორმატორები დაიქირავოს და ნუ სწამებს ცილს ჭორების საფუძველზე:

– იმის გამო, რომ ეროვნული კინოცენტრის სახელით ჩემ წინააღმდეგ გამოქვეყნებულ განცხადებაში ნახსენები იყო „ქართული ფილმის განვითარების ფონდი“ და იქ ჩემი საქმიანობა, იძულებული ვარ, ქალბატონ კულტურის მინისტრს ავუხსნა, რა ორგანიზაციასთან აქვს საქმე. რა თქმა უნდა, სჯობდა, მანამ გარკვეულიყო ყველაფერში, ვიდრე გამგეობის წევრობიდან გამათავისუფლებდა, მაგრამ არც ახლაა გვიან.

„ქართული ფილმის განვითარების ფონდი“ დაარსდა 2005 წელს სახელმწიფოს (კულტურის და ეკონომიკის სამინისტროები) და შპს „ქართული ფილმი – უძრავი ქონების“ მიერ. შპს-მ ფონდში შეიტანა 25210 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მასზე არსებული შენობა-ნაგებობებით, მათ ორის თუმანიშვილის თეატრის შენობით, ხოლო სახელმწიფომ – 1 ლარი. გამგეობის წევრებს ნახევარს ანუ 3 წევრს ნიშნავდა სახელმწიფო, მეორე ნახევარს – შპს „ქართული ფილმი – უძრავი ქონება“. თავდაპირველი შემადგენლობა ასეთი იყო: რეზო ჩხეიძე, გელა კანდელაკი და ბუბა ხოტივარი „ქართული ფილმიდან“ და კოტე ჩლაიძე, დავით საყვარელიძე და მე – სახელმწიფოს მხრიდან. გამგეობის წევრები ხშირად იცვლებოდნენ და სხვადასხვა დროს მის შემადგენლობაში ასევე იყვნენ კობა დავარაშვილი, არჩილ მენაღარიშვილი, არჩილ გელოვანი, ნანა ჯორჯაძე, დავით ნაცვლიშვილი, დავით ცხადაძე, ქეთი დოლიძე, მერაბ თავაძე, ოთარ ლითანიშვილი, ხათუნა ხუნდაძე, მინდია ესაძე და ლევან თუთბერიძე. კულტურის მინისტრმა, სავარაუდოდ, ეკონომიკის სამინისტროს წერილობითი თანხმობის გარეშე, 2021 წლის ივლისში გაგვათავისუფლა მე, კოტე ჩლაიძე და ნანა ჯორჯაძე და ჩვენს ადგილას დანიშნა საკუთარი სამინისტროს დეპარტამენტების უფროსები – კობა ხუბუნაია, იოსებ სუთიძე და გიორგი ბოცვაძე. ხოლო დირექტორად ილია ბექაურის ნაცვლად გამგეობას დაანიშნინა საკუთარი მოადგილე – იოსებ ბაღათურია. დიდი იურისტობა არ უნდა იმას, რომ აქ გვაქვს პირდაპირი ინტერესთა კონფლიქტი. გამგეობის წევრებმა უნდა გააკონტროლონ და თუ საჭირო შეიქნა, გაათავისუფლონ ადამიანი, რომელიც სამინისტროში მათი უფროსია.

ფონდი იყო დამოუკიდებელი ორგანიზაცია, რომლის გამგეობაში ყოველთვის იყვნენ კინემატოგრაფისტები, რომლებიც დამოუკიდებელ გადაწყვეტილებებს იღებდნენ. მინისტრმა ეს სიტუაცია გაანადგურა და თავისი ხელქვეითების მეშვეობით განკარგავს ფონდის ქონებას, როგორც პირად ქონებას.

დავუბრუნდეთ ფონდს. ფონდის საქმიანობის ერთადერთი მიზანი, წესდების მიხედვით, არის ქართული ფილმის განვითარების ხელშეწყობა. ანუ ფონდს უნდა მოეპოვებინა გარკვეული შემოსავალი, რითაც დაეხმარებოდა ქართულ კინოს. 2005 წელს ჩვენ ვითარება დაგვხვდა სრულიად სავალალო: ყველა შენობა-ნაგებობა იყო გაქირავებული მრავალწლიანი იჯარებით – 5, 10, 20 წლით, ხოლო ერთ-ერთი ნაკვეთი – 50 წლით ე.წ. აღნაგობის ხელშეკრულებით. ყბადაღებული ლეიბების საამქრო, რომელსაც კულტურის მინისტრი ხშირად ახსენებს ხოლმე, სწორედ ამ დროი-

გაგრძელება მე-5 გვერდზე

სოფი ვილი: „ტვერელის ტაძარი საფრთხეშია!“

ეს ინფორმაცია მომღერალმა სოფი ვილიმ – სოფო ხუციშვილმა გაავრცელა:

– ტვერელის ტაძარი საფრთხეშია! ქართული კინო საფრთხეშია! ქვეყანაში ვაჭრობა ნელ-ნელა რუბლზე გადადის! მომსახურება, ქვითრები, მენიუები რუსულ ენაზეა! იხსნება მილიონი რუსული ბაღი, სკოლა, სტუდია, ფიტნესი, ჯაზ კლუბი, კაფე, ბარი, ჰოლდინგი... ქორწილებს და ივენთებს აწყობენ რუსული კომპანიები. ერთ-ერთი დამიკავშირდა კიდეც და რუსსკი ვაენნი კარაბლისკენ გავუშვი, რასაკვირველია.

აჭარაში რუსული ტელეარხის გადაცემა „ვესწი“ იღებს რუბლზე გაყიდულ აჭარელ ოჯახს და საქართველოს ასაღებს როგორც რუსეთის სამონეთს! ალბათ ასეც არის. გურჯს ოქრო, ანუ რუბლი დაანახე და შენი მონა იქნებაო.

პარალელურად, უსახლკარო, სოციალურად დაუცველი ოჯახების რიცხვი დღითიდღე იზრდება.

სტუდენტები, მარტოხელა დედები შვილებით და ახალგაზრდა ოჯახები ქართველმა „ბინის მეპატრონეებმა“ დატოვეს ქუჩაში, რათა ვოვასთვის, ნადეჟდასთვის და ნატაშასთვის მიექირავებინათ ბინა სამმაგ ან ოთხმაგ ფასად. სამაგიეროდ, ხომ მალე გამდიდრდებიან (ცოტა ხნით).

ქვეყანაში ყოველ ნაბიჯზე მიდის უკანონო მშენებლობა, იჩეხება ან ბეტონდება ჯანსაღი ხეები, ტყის მასივები.

კორუფციამ მიაღწია პიკს.

სოცქსელში ხალხი გადასულია ერთმანეთის წყევლაზე, იმის მაგივრად, რომ ამ ჯოჯოხეთიდან გამოსავალი ერთად მოვნახოთ!

რამე გამომრჩა კიდევ?

მოამზადა ეკა ირემაშვილმა

ჯოსვოხდი ა



შვეულად: 1. ხერესის მარკის ღვინოების მწარმოებელი ესპანური ფირმა; 2. კოვბოების შეჯიბრი; 3. ვაზის, ღვინის პატივსაცემი რიტუალი ძველად საქართველოში; 4. შვედური საავტომობილო კომპანია; 5. ფიგურული სახაზავი; 6. თანამედროვე ქართველი მხატვარი; 8. თანხის დაბანდება რაიმე საქმეში; 10. საგვარეულო ნუსხა; 11. უბანი ქუთაისში; 14. დოღი გრძელ დისტანციაზე საქართველოში; 15. ნაკვერჩხლებიანი ნაცარი; 16. ჭიდაობის ერთ-ერთი სახეობა.

თარაზულად: 1. კურორტ ახალი ათონის ძველი სახელწოდება; 4. სპილენძის ჩასაბერი მუსიკალური ინსტრუმენტი; 7. სამხრეთ ამერიკაში გავრცელებული სირაქლემა; 9. სამეჯლისო ცეკვა; 12. იაპონური ელექტროტექნიკური კომპანია; 13. დადგენილი წილი, მიღებული ნორმა; 14. ვენაში განთავსებული ატომური ენერგიის საერთაშორისო სააგენტო; 17. მდინარე მტკვრის მარცხენა შენაკადი შიდა ქართლში; 18. განდიდების მანია; 19. აჭარული ხის სახლი; 20. აზერბაიჯანული ნავთობკომპანია.

შეადგინა თ.კოპალეიშვილმა